

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 თებერვალი 2009

№3(81)




1516
2009



ლაშა იმედაშვილის დეტექტივის ხიბლი
ხელმოცარული მსახიობის დრამა
ამერიკული მოლოდინის კომკეები
მარკესის ფანტაზია და რეალობა
ნაილი ნეკერიშვილის ლექსები
მარიო ბენედეტის ნოველები



წიგნის თარო





11 თებერვალი წმინდა მოწამე
აშოტ დიდი კურაპალატის
ხსენების დღე



შინაარსი

პრი და პარლამენტი	2	კლავს რინი მოლოდინის კოშკები (ამერიკის ახალი პრეზიდენტი)
წითელი და წაღები	3	ზურაბ გაიპარაშვილი პირველი ეროვნული უნივერსიტატი კავკასიაში
გალაქიონის ქაღალც	8	ვახტანგ ჯავახიძე შვიდმოცა თუ დანაშაული?
გაბრუნება	9	ნინო ვახანია მისამამ განვითარება
მისამამ-ინტერვიუ	10	„ჩემი სველა გავაჩუქა...“ (თამარ შიშველაშვილს ესაუბრება მამუკა ვაშაყიძე)
დრამატურია	12	ნონა კუპრეიშვილი თამაშით შეაყრდნობი
პირველი შთაბეჭდილება	17	მაკა ჯოხაძე წააღმევხე დინებაში და თავგზადადებები
პოეზია	18	ნაილი ნეკერიშვილი ძარბოვ ზღაპრებზე და სხვა ლექსები
უსწორების სწორება	22	კარლა ბენედეტი მორანტა მორავიას ნინადადგება
პრობლემა	24	გაბრიელ ვარსია მარკესი წანტაზინა და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბზე
მედიკალი და მსტრიალი	27	მერაბ კალანდიაძე „აუსტრალიის მზის რუმი სივნი“ (ნაპოლეონი ანა კალანდაძის შემოქმედებაში)
მომავალსა სივნი	30	ფორეცტა ლამაშიძე მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე (1921 წლიდან 1937 წლამდე)
კრიტიკა	43	ხათუნა თავდგირიძე ეროტიკული სველის გამო (გიორგი კეკელიძის „ცრუ“ და „მართალი“ ოდებში)
დიალოგი	45	„შირი არაბისიანიკაღის ცხოვრება სათავგადასაცლო რომანის გმირს შეხვარება“ (თამარ ლონდაძეს ესაუბრება როსტომ ჩხეიძე)
კავრება	48	მარინე რევიშვილი უჩვეულო სიგლი (ლამა იმედაშვილის დეტექტიური კრებულის განხილვა)
კრიტიკა	52	მიაა ჯალიაშვილი ხატიანი სული ლაკირინთში (მიაა შირიანიშვილის ორი ახალი თარგმანი)
ლიტერატურული სწორება	54	შოთა რუსთაველის სტიქანდინანტატი
პოეზიის მარღიანება	55	გაიუს იულიუს კატულუსი ბირანიქის ნანახი
უსწორების წინადა	58	ანდონის სამარაკისი ერთ ლექს
	60	მარიო ბენედეტი ორი ნოველა
შეხარება	63	მღაბარი გუსტავ უტი

დადგენილი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გაერცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია დიზანერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარედაქციო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გაერცელების სამსახური – ლევან კიკნაძე



გაერცელება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაერცელება: თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა, 17
ტელეფონი: +995 32 550 0162

გაერცელება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაერცელება: თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა, 17
ტელეფონი: +995 32 550 0162

„ჩენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 20 თებერვალს

საქართველოს
პარლამენტის
სტრუქტურული
ბიუროს მიერ



ამერიკის შეერთებული შტატების ახალი, ორმოცდაათობზე, პრეზიდენტის ბარაკ ობამას კურთხევასთან დაკავშირებით მწერალმა და პოლიტოლოგმა პატაჩა ჩხეიძემ — „ჩუმი მწერლობის“ რედაქციის თხოვნით — რამდენიმე მუკითხვით მიმართა გამოჩენილ ამერიკულ პოლიტიკურ მოაზროვნეს, ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორს კლავს რინს, ვინც ანაც საპასუხოდ მწერი სტატია მოიღო.

- ნატო კლავს, საინფორმაციო სიტყვის მოსმენისა ნინაბმდეგობრივ განცდები გამიჩნდა და ამიტომ მსურს გკითხოთ:
- რას ფიქრობთ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტზე?
- ხომ ძალიან თუ არა განახორციელოს ცვლადობა (ახეთი იყო მისი დევიზი) შეერთებული შტატების ცხოვრებაში?
- მძრ არ დაუბრუნდება ამერიკის დამუკუნებელი შაპების იდეებს?
- გაავრდებს თუ არა მსოფლიოს დემოკრატიზაციის კურსს?

კლავს რინი

მოდინის კოვკები

ამერიკის ახალი პრეზიდენტი

მინდა ვიფიქრო, რომ ობამა შეძლებს საჭირო ცვლილებების განხორციელებას; მას აქვს ამის მანხი. მაგრამ საინფორმაციო მედია და ამერიკის „ლიბერალური“ კულტურა ისეთი აღფრთოვანებითა და უკონტროლოდ შეგება ობამას და ისეთი უკუხური მოლოდინის კომპები ავგო, რომ იმედგაცრუნება მისალოდელი.

ობამა თითქოსდა შრამაშტრუტელურსა და პრეკამეტულ გზას ირჩევს ებინეტის წევრების დანიშნისას. კლინტონის ადმინისტრაციის შრავალსი წევრი მის ადმინისტრაციამო იწყებს მუშაობას. მაგრამ ობამას თემა, საარბევო კამპანიის დროს, იყო „ცვლილება“. იგი და მისი შრეკლები ფიქრობდნენ, ეს თემა არჩევნების მოგებაში დაგვემარებაო. ალბათ ობამაც ფიქრობდა, რომ რაღაც ცვლილებებს მოახდენდა, მაგრამ მის მიერ განანიღებულ თანამშრომლებში გვაფრთხილებნენ, რომ ის არ არის დამოუკიდებელი ადამიანი, თავის ნებაზე რომ მოქცეულეს.

მან მოიგო საბრეზიდენტო არჩევნები, დემოკრატებმა გაიმარჯვრეს მოხიციები ნარძომადგენელთა პალატასა და სენატში, რამაც მას გარკვეული ძალაუფლება მიანიჭა, მაგრამ ობამას არც ისეთ მძლავრი საფუძველი აქვს ძალაუფლებისას, როგორც შეიძლება ვინმემ ნარწოდგინოს. პოლიტიკაში მას არასოდეს ჰქონია ძალაუფლების დამოუკიდებელი წყარო. არასოდეს ეკავა მნიშვნელოვანი აღმასრულებელი პოსტი. პოლიტიკაში ჩიკაგოულ მღიერს, ამა ქვეყნისათა სპონსორობაზე დაფუძნებული, მძლავრი (კორუფციის გამო უარყოფითად მიედგინებოქმული) პოლიტიკური ნაქანის შემწეობით სარგობდა და ყოველთვის სხვათა გარკვეული ფინანსური ახაროების დხმარებით მოქმედებდა, რომელთა შორისაც ზუსანიშნავია პრიცკერების ოჯახი, რომელსაც აბლოკავორი აქვს საერთაშორისო ფინანსურ ძალბოთან. ობამას საკანონმდებლო გამოცდილებაც შეზღუდულია. საბოლოოდ იგი ძალზე სუსტად არის აღფრთოვლილი მისიასეთი, რომ განახლებული, ენერგიული ქმედებით გაანაწყნოს მძლავრი ფინანსური ინტერესს ჯგუფები.



მაგალითად, მის მიერ განანიღებულ პოსტები გვიჩვენებს, რომ ამერიკის მძლავრი და ძალუფლების მკერობელი ელიტა მართავს მის ადმინისტრაციას.

თუ ობამას ნარსულში ჩაეხიდავთ, იგი შემარცხნენ, უფრო მეტიც, რადიკალი შემარცხნენ პოლიტიკოსია. მაგრამ მისი ნარსული ფრთხილად მენიღებს მედიამ და მისმა მენეჯერებმა და ხარბიუნტო კამპანიისას სრულიად განსხვავებულად ნარწომანინეს, როგორც ზომიერი ცენტრისტი. იგი ჯერაც ცდილობს ამგვარი იმიჯის მენარსუნებას. მისი საინფორმაციო მიმართება, მკვირდი გამონაკლისებით, სხვა პრეზიდენტებზე მეტწილთ ნაკითხათა, ფორჯ უ. ბუშის ჩათვლთ. მინდა ვიფიქრო, რომ ობამას პროვინებაში არის ჭემარჩად კონსერვტული ასპექტი, პატივისცემა ძველი ამერიკაში, რაც ფროთა განმავლობაში გაძლიერდება, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ იგი მიაკვება ყურადღებით შედგენილ გეგმას, სცენარს, მომზადებულს იმ პირთა მიერ, ვინც იგი დაფინანსა და შეუძლება პოლიტიკაში. რამდენადაც იგი გონებაგახისნელი და მრავალმხრივ უნარიათა და საბრეზიდენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა, უბრალო თორიანად არ იქცება სხვათა ხელში, მაგრამ ვერ იქნება ძლიერი, დამოუკიდებელი და ნამდვილად მესაბურთი ფიგურა, რისთვისაც უნაზებდია.

წუ მოელთ სერიოზულ ცვლილებებს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში. უფრო მეტი საუბარი იქნება, რომ საჭიროა მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში, ყველა მხარის ჩართვით, მაგრამ, სამხილო მინზეთა გამომ, ობამა მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ამერიკის პოლიტიკას, თუნდაც მოინდომოს. ახალი საბელშიწივი მდივანი, ყოფილი სენატორი ნიუ ორკანმა, პილარი კლინტონი, უფრო მეტად დაუჭერს მხარს ისრაელს, ვიდრე აქამდე. თეთრი სახლის მტანის ხელმძღვანელი, რომ ენაზული, მოახლავს გახლავთ ისრაელის არმიით სრუტის ომის დროს. ენაზულის მმას, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, სონისტორი ტერორისტული ბანის წევრი იყო და ირგულსტევისა და პალეესტინელბს ებრძობდა. ყოველიც ეს გვიჩვენებს, თუ როგორ არის მიმშული ობამა აბლოკურთხეულიის პრობლემებს. მას ესავიროება განსაკუთრებული ნებისყოფა და დაფინანს, რათა ძირული ცვლილებანი მოახდინოს ამერიკის პოლიტიკაში ამ ნაწილში.

ობამა, აგრეთვე, გაავრცელებს ამერიკის პოლიტიკას მსოფლიოში დემოკრატის გავრცელებისას. მან თქვა, რომ ეთანბნება ბუშის საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, გარდა ირავისა, და სამხედრო ქმედებებს ნაკლებად მიმართავს. განაცხადა, რომ მეტი ყურადღება უნდა გადაიტანოს იმ ნაწილს დახმარებაზე, ვისაც აქლა დემოკრატია და დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტები. ამ ხალხებს დახმარება სჭირდებათ უფლებათა დაცვის, კორუფციისა და სიღარიბის მიმართულებით.

ობამა, გარკვეული აზრით, უფრო მეტად აგრესიულია, ვიდრე ბუში.

კოვხინსოვანცქ
ქიტხინცქოვანცქ
წყლი მწერლობა თბავადალი, 2008



ზურაბ გაიპარაშვილი

პირველი ეროვნული უნივერსიტატი კავკასიაში

ვევდა ერს აქვს გამორჩეული თარიღები, რომლებთანაც ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებია დაკავშირებული. 1918 წლიდან 26 იანვარი (ახალი სტილით, მ დეკემბრული) ქართული ხალხის ცნობიერებაში ორმაგად მნიშვნელოვან თარიღად იქცა. მანამდე იგი საქართველოს ყველაზე დიდი მუხისა და მნიშვნავის დედა აღმამუნების ხსენების დღე იყო, ხოლო 1918 წლიდან მან ქართული საზოგადოების ცენტრად განათლების დასაბამის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. 90 წლის წინათ, 26 იანვარს, თბილისში ვარკუბანში ქართული სათავადაზნაურო გამზავის შემოხმაში საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული სავანეზამაღებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას და ხელი შეუწყო კავკასიაში საუნევერსიტეტო განათლების აღორძინებას.

...შორს დარჩენილიყო მეოთხე საუკუნის ფაზისის (ქ. ფთი) მახლობლად არსებული კობლეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, ადრეული მუხაბაჟუნების ქართული სამონასტრო კომპლექსების სკოლები და საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოსა თუ უცხოეთში, გელათისა და ივლითის აკადემიები... საუკუნეების ქარტახელებს თან გაპოლიდა ერთიანი და ძლიერი საქართველოს დიდება და მასთან ერთად მნიშვნელოვანი თვითმყოფელი ეროვნული კულტურა, მეცნიერება და განათლება. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამთან ერთად, დაიწყო მისი ცემოდა ამ სამეფოს უკანასკნელი მეფეების სურვილი — საქართველოში გაეხსნათ უმაღლესი სკოლის ტიპის ლიცეუმები... მაგრამ სამშობლოს დამოუკიდებლობადაკარგულ ქართველებში არ გამქრალიყო თავისუფლების ნურერილი და ეროვნული უმაღლესი სკოლის დაარსების ოცნება...

პირველი ქართული ცნობა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა და მისი მოთხოვნის შესახებ გაჩნდა 1832 წლის მუთქმულთა წერიტ, რომლის წევრთა უმრავლესობა ნახიარები იყო რუსულ და ევროპულ განათლებას. მაგრამ ეს მოთხოვნა იმ დროის მუხატყვისობაში განუზარცადებლად აღმოჩნდა ისევე, როგორც თვით 1832 წლის მუთქმულები.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვანეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამ წლებში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა.

უმაღლესი სკოლის დაარსების რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც

თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავლას ნოდებრივ დანიშნულებით კი არ იყენებდა, არამედ ერს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ამხარდა.

ქართული კულტურისა და განათლების გადარჩენა-განვითარების, აგრეთვე ეროვნული მეცნიერული საქმიანობის ორგანიზების ზელშენწყობის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომელთა წევრები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საქართველოში უმაღლესი სკოლის დასაარსებლად.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მისია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და მისმა პროფაგ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგებლებზად ქართული ეროვნული თვითმეგნების შეწარმუნება-გაძლიერების თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე საუბარს მუდმივად თან ახლდა პოლემიკა ქართულ საზოგადოებრიობაში იმის თაობაზე, თუ რა სახის უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახსნილიყო — პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი? პრაქტიკული მოსაზრებით, საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას, ინსტიტუტის ტიპის სასწავლებელი ნაადვილად უსაჭიროებდა. ამ იდეას მხარს ისეთი გამოჩინული ქართველი საზოგადო მოღვაწე უჭერდნენ, რომლებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ვასილ პეტროპოლი, პეტრე მელიქიძევილი და სხვები. ამ საკითხის ორგულე (ცხარე კამათი 1917 წლის დასაწყისში პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა შორის კვლავ განახლდა. თემა იმიდენდ მნიშვნელოვანი იყო, რომ მის ორგულე კინოთატრ „ელტაში“ შეკრებილმა საზოგადოებამ საგანგებოდ იმსჯელა. ივანე ჯავახიშვილმა ნაიკთხა მოხსენება თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ და საზოგადოებას ქართული უნივერსიტეტის მონახას, აგრეთვე ის სამართლებრივი საფუძვლები გააცინ, რომელსაც 1914 წელს ევროპო უმაღლესი სასწავლებლების შესახებ კანონის გამოცელა იძლიოდა. იგი რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერებს სამშობლოში გამოძახე ვარეუბისკი მოუწოდებდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით, კვლავ ამტკიცებდა პოლიტექნიკუმის უპირატესობას. მეკრების მონაწილეთა უმრავლესობამ ივანე ჯავახიშვილის იდეას დაუჭირა მხარი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილის ბინაში შეკრებილი ქართველი მეცნიერთა ჯგუფი სულ უფრო განცხოვრებლბით მსჯელობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. მათ რუსეთის დროებითი მთავრობისგან მხარდაჭერის მოპოვებაც სცადეს, მაგრამ ამაოდ... ყველა ჩვენგანი მზურვალედ უჭერდა ივ. ჯავახიშვილს მხარს. ახლა უკვე სიტუცა მთავრობას ეკუთვნის. და ი, ჩვენ ზამთრის სასახლეში მივიდვართ. დროებითი მთავრობის მეთაურმა გარგნულად თბილად მივიტოდა, მაგრამ თხოვნის დაკმაყოფილებას არ თანავიგერძობს. — თქვენ არ გავით არც ქართული სახელმძღვანელოები და არც ქართველი პედაგოგები გყავთ. ასეთი ცუდა პოლიტუდ ნამოწინაა, მაგრამ ის კე-



ხით დახმავრდა. იგივე შედეგი მოგვით თქვენც... ფინანსური დამხარების შესახებ კერძისკო კრისტო არ დამუშავას. — ინსებნება მალეა ნუცუბიძე რუსეთის დროებითი მთავრობის პრეზიერთან ა. კერნსკისთან შეხვედრა.

ივ. ჯავახიშვილი სამშობლოში 1917 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიძის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. ამ დღეს დაფუძნდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც იდით როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

ამ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად ისაუბრა და დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა. „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კულევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესახებ და სამეცნიერო მუშაობის მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტს პროფესორები და ხელმძღვანელები მარტო ლექციების შეითვებენი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა უზრუნველენენ ხელს და მეცნიერებაზე ცხოველ მისამაძიე მავალითაც იყვნენ მოზარდ თაობისათვის“, — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი.

რუსეთის ხელისუფლებამ სცადა, თბილისში ქართული უნივერსიტეტისათვის ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დაარსების იდეა დაეპროსპირებინა და ამით დაეზბოკოლებინა ურთველი უმაღლესი სკოლის გახსნა.

მარტოც, მეტრსმეტად რთულ პირობებში, ურთიერთდაპირისპირების და ბრძოლის ფონზე, რუსეთის მთავრობის ძალისხმევით, 1917 წელს თბილისში რუსული უნივერსიტეტი დაარსდა. ქალაქის საბჭო დიდი აღფრთოვანებით შეეგება ამ უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ამბავს და ყოველგვარი დამხარება აღუთქვა მას. კავკასიის უნივერსიტეტი ხელისუფლების მხრიდან ნივთიერად უზრუნველყოფილი იყო. მას უკვე ჰქონდა შენობა, მიწა, დაფინანსება, კლინიკებისათვის - საავადმყოფოები. ქალაქის საბჭოს ხელისუფლებამ რუსული უნივერსიტეტის საქმემ, რომ სრულად დაიფინანსა ქართული უნივერსიტეტის ზედი. მოსალოდნელი კი იყო, რომ ქართული ინსტიტუტი მიიღებ ათმადლებდნენ ხმას ქართული უნივერსიტეტისათვის და აუხსნიდნენ საბჭოს, თუ რაოდენ სათაკლოა და უმართებულა, საკართველოს შედეგად ქალაქი თბილისი რუსულ უნივერსიტეტს იარსებებს და სრულად უზალეუბელყოფილეს ქართული უნივერსიტეტის საქმეს“, — ნერდაც გახვითი „აღიონი“ 1917 წლის 19 ნოემბერს.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, კავკასიის რუსული და თბილისის ქართული უნივერსიტეტების გახსნასთან დაკავშირებით, ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე, შიდა კონფლიქტების გაღვივებას უკვე აღარ შესწევდა ძალა ამ პოლიტიკური დაპირისპირების ინსპირირებისათვის, რომელსაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში აწარმოებდა თავის გუბერნიებში. თბილისში მოქმედმა კავკასიის უნივერსიტეტმა ცოტა ხანში, რუსეთის მთავრობის სახით, დაკარგა ძლიერი მხარდამჭერი,

როგორც ფინანსური, ასევე საკადრო თვალსაზრისით. კავკასიის უნივერსიტეტმა 1920 წელს არსებობა შეწყვიტა.

ამავე ელად ქართველმა რუსეთის განათლების სამინისტრომ გავზავილი ქართული უნივერსიტეტის წესდების დამტკიცებას. 1914 წლის კანონის (კერძო სასწავლებლებთან დაკავშირებით) თანხმად, უკრო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა მთავრობის გვიერის ავლითაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს საჭირო გახდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტს მისეკმობა პროფესორებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება.

პეტრეპურცადან პასუხი არ მოვიდა, რუსეთის მთავრობა არ აპირებდა ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე თანხმობის მიცემას. საბოლოოდ, წესდების ძირითადი დებულებანი 1917 წლის 2 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვეკლა, კეთილისმზურველიცა და ხელისმეშველიც, ივანე ჯავახიშვილს ურცედა, უნივერსიტეტის გახსნა მომავალი წლის სექტემბრამდე გადაეფი. ჯავახიშვილი თითქმის მარტო დარჩა მოზღვავეული პრობლემების წინაშე, მაგრამ მისმა მწიგნობამ, ოპტიმიზმმა და ლოგიკურმა დასაბუთებამ — რომ თუ 1918 წლის დასაწყისში არა, ცხრა თვის შემდეგ კიდევ უფრო უპერსპექტივო იქნებოდა უნივერსიტეტის გახსნა, — დაარწმუნა მისი თანამებრძოლები მცირეერიცხოვანი გუნდის წევრები და დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე განრდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნას, 50 წლის გადასახედიან, 1968 წელს ემიგრაციაში მყოფმა პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, პუბლიცისტმა ლევან ზურაბიშვილმა სამართლიანად უწოდა „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა“.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი — თბილისის უნივერსიტეტი ქართული ხალხის მხარდაჭერითა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული, გულმზურვალე პატრიოტ მეცნიერთა ძალისხმევით დაფუძნდა, მაგრამ მირც გამოირჩეულია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი. უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიძე იყო ამბობდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაინტესტელი, სულსწამდებელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერაინ შეეტკება და შეეზარება“.

მოგვიანებით უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობის ასე აფასებდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი: „ეს იყო კულტურის უდფეული მონაპოვარი, რაც კი ოდესმე შეუძენია ქართველ ხალხს მთელი თავისი სახელგონი ისტორიული ბრძოლისა და არსებობის მანძილზე. გარდა იმისა, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებათა სავანურში, იგი და მის ნიადაგზე წარმოქმნილი საქციალური ინსტიტუტები საფუძვლად დაედო სახალხო მურწერობის აღორძინებას ჩვენში...“.

ქართული უნივერსიტეტი უფრო დიდი იყო, ვიდრე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს. შემთხვევითი აღბათ არ იყო, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტთა პირველსავე თაობას მოუწია ისეთი მოვლენების ემიგრენტში აღმოჩენილიყო, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეზი შეცვალეს. პირველმა სტუდენტებმა შემდეგნი თაობებს პატრიოტიზმისა და პუშანინზის ზნეობრივი მავალითები დაუტოვეს.



...იდეა 1918 წელი და საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები ახლოვდებოდა... თბილისში იანერის ზამთრის ცივ დღეს პირველი ქართული უნივერსიტეტი გახსნილყო, ცოტა ხნით ადრე ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია აღედგინა, მალე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა საქართველოს ხელისუფლება. დაარსებიდან ორი თვე იყო გასული და უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აღმფრთვით, ტკივილითა და ოპტიმიზმით სავსე პოლიტიკურ განცხადებას აკეთებდა, „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კიბევა გავრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავედნენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნეს... ფთხოვოს, ვისაც ჯერ არს — დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუხუდუნების ახლო-მახლო მიდამოები. სამიმროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას.“ — საქართველო-ოსმალეთის ომის დროს შექმნილ ვითარებას ეძღვნებოდა 1918 წლის 3 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სპეციალური სტეფანის და დაადგენილება, რომელიც ახალგაზსნილი უნივერსიტეტის პირველი პოლიტიკური განცხადება იყო. თუმცა თვით უნივერსიტეტის დაარსება ხომ საქართველოს დიდი პოლიტიკური „დეკლარაცია“ იყო. განა სიმართლის პატარა ნაილის შეცვალა ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ვასილ პეტრიაშვილისა და მათი უზენის არგუმენტებში, როდესაც ისინი ინსტიტუტის უპირატესობას ასაბუთებდნენ? განა საქართველოს მართლაც არ სჭირდებოდა ინჟინრები, ექიმები, აგრონომები? პრაქტიკული თვალსაზრისით, იანებ პროფესორი ინსტიტუტები უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო საქართველოს ეკონომიკისა და მურწრობისთვის, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი როდესაც ასაბუთებდა, „სულ სხვა უნივერსიტეტი“, მან ყველაზე უკეთ უწყობდა, რომ უნივერსიტეტის დაარსებით ქართველობა ეროვნული თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და დიდი ქართული კულტურის რაწვეტილი ხიდების აღდგენას ცდილობდა. უნივერსიტეტმა ეს თავისი არსებობის 90 წლის განმავლობაში მრავალი მაგალითით დაადასტურა.

1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთს შორის გაფორმებული მუდროსის ზავის შედეგად, ოსმალეების მიერ ამირკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებისთანავე, სომხეთის ჯარმა მისივე დაიწყო წინ წამოწევა და ლორე დაიკავა. ნოემბრის ბოლოს სომხ-ქართველია ჯარებს შორის ომი დაიწყო.

თითქმის ყველა დაწესებულებაში იმართებოდა საერთო კრებები, სადაც ისმოდა სამშობლოს დაცვის მოწოდებები.

„ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, საქართველოს ჯერ იყო ოსმალეთმა შეიჭურსია თავისი გათამამებული ჯარი. სამშობლომ მოუხმო ახალგაზრდობას და ისინიც თავიანთ ვალდებულების შესასრულებლად გამოცხადდნენ. ქართველი სტუდენტობა შეგნებულად მოწყდა ახლად დაარსებულ მეცნიერების კერას და ნაცვლად სამეცნიერო წიგნებისა თოფ-ზარბაზნებს მოჰკიდეს ხელი. მათ დაამტკიცეს თავისი მამულიშობლობა და სამშობლოსადმი სიყვარული, ჯერ ოსმალეთთან და შემდეგ რუს-სომხებ ბოლშევიკებთან ბრძოლაში ქართველი სტუდენტობა წარსულ წელს სისხლის ემბანში განიბანა. მათ სისხლის ნიჟებში ვერ შეაშინებს, ისინი გაფაციკვებით ელიან საქართველოს მთავრობის ზარის ხმას, ამა, ეს ხმაღ და მთელი ქართველი სტუდენტობა აგვარს ისხანს.“ — წერდა ე. პატარიძე გაზეთ „საქართველოში“ 1918 წლის 20 დეკემბერს.



თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა არქიტექტორი ნ. კლიაშვილი, დ. გრმაკოვის ფოტო

მოვლენებს კვალდაკვალ ეხმანებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ცდილობდა პოლიტიკურად აქტუალური საკითხებისათვის მცენიერული დასაბუთება მოეძებნა. 1918 წლის 18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში როგარეულ ლექცია ნაითხა თემაზე: „ქართველობა და სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა“. მან ვრცლად ისაუბრა და ისტორიული ფაქტების შემეგობით დაამტკიცა, რომ სადავო ადგილები: ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ზამბაკი ეკონომიკურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, არამედ ეს მათვრედ ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა... ქართველები და ქუდავ და ქუდავ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკურდით დატული, კვლავ იარებებს... გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველს შედრობას!“ — ასე დაასრულა ივ. ჯავახიშვილმა ლექცია და სტუდენტობას სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. „სტუდენტობამ ერთმამ დაადგინა,



რომ იგი მზადაა, მოუხდევად იძისა ენებათ შათ თუ არა მო-
ბილიზაცია, ჩვენებრონ ჯარის ნაწილებში და ნავიდენე იქ,
სადაც მათ მოუწოდებთ მთავრობა, მათი მახსოვნილოური
მოვალეობის შესასრულებლად". (კლიხე, სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტი, ვაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი).

...რა არის უმაღლესი და უღამზესი სამშობლოს სიყ-
ვარულისა? — მამინ, როდესაც ეს ფრაზა მარო მაყაშვილმა
დღიურში ჩაწერა, იგი ჯერ კიდევ არ იყო უნივერსიტეტის
სტუდენტი. ერთი წლის მერე, 1919 წელს, გადამწყვეტა ფრან-
გული და ინგლისური ენების საფუძვლიანი შესწავლა და
სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

1921 წელს საქართველოში განვითარებული ურთულე-
სი კატაკლიზმებში მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრე-
ბაზეც. სამიოდე წლის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობის
სამბოქთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოჰყვა.
დამფუძნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას, სრუ-
ლიად საქართველოს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამ
მოწოდებებს აქტიურად დაუჭირეს მთავი უნივერსიტეტის
პროფესორებმა და სტუდენტებმა. სამშობლოს თავისუფ-
ლებისათვის ომში მნიშვალ სტუდენტებს ბრძოლის გზა და-
ულცივა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფორნტზე,
ამის შესაბამისად, ტარდებოდა შილი რიგი ლინისძიებები
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის
რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელ კრების პრე-
ზიდენტიმან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მი-
მართა: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობით თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დად-
გენილება, მიღებული სასწრაფოდ მიწვევას საგანგებო
სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს, ფრნტზე შექმნილი
მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვად იმავე დღეს
მოგახსენებ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და
სამოჯგოფოდ სამეცნიერო-სახანალო წინაღის პარაიდი შე-
მადგენლობის წევრები მზად არიან ყველაში, მთელი თავი-
სი ცოდა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფ-
რთხებში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების
დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებ-
რიუ თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას სა-
უფრუბოებოდ მიანიჩა სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-სახუნებისმეტყველო
ფაკულტეტის ლაბორატორიებსა და სამკურნალო ფა-
კულტეტის კლინიკებს კარები ღია ომის საქართველოსათ-
ვის.“ ქართველმა ოქრებმა თავგანწირული წინააღმდე-
გობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან. ქართული
ჯარი სისხლისგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაციის
ქვეს აღარ იწვევდა, არადა, სულ ორიოდე კვირის წინ, 1921
წლის 4 თებერვალს, უნივერსიტეტის პროფესორთა საწ-
მომის სახელმწიფო დეკუმა გაუგზავნა დამფუძნებელ
კრებსა „საქართველოს უფრდილო ცნობის გამო.“

მარო მაყაშვილმა არ გაითვალისწინა მშობლებისა და
ახლობლების თხოვნა და 17 თებერვალს, როდესაც რუსული
არმიის ზარბაზნების ხმა უკვე თბილისის შემოგარენშიც
გაჰმა, წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაწერა. იმავე
დასდეს სახეარულ რაზმთან ერთად კოჯრისკენ წავიდა.

„საქვარელო მამა, მე ჯერჯერობით კარგად ვარ...
მტერი ჯერ მორს არის. ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან

აღვრთოვანებული არიან... ყველანი ძალიან მადლიერნი
არიან ჩემით... ცოტა თხილი თუ შესაძლებელია და რამე
ტკბილეული გამოგზავნეთ...“ წუ გემიანი. გავმარჯვები
სახელმწიფად. შენი მარო“, — ამ პართის დაწერიდან რამ-
დენიმე საათში, 19 თებერვლის საღამოს, ყუმბარის წამ-
სხვერვა იმსხვერპლა სიფრთხილად გოგონას სიცოცხლე.

23 თებერვალს სამხედრო ტარის გადაკვლივად, 21
ქართველი ოქნერის საფლავებთან ახლოს, განცალკევებ-
ბით დაკრძალეს მარო მაყაშვილი... მოვიანებთ საბჭოთა
რეჟიმსა ეს ტარადი ააფეთქა და მის ადგილზე სოციალის-
ტური საქართველოს მთავრობის სასახლე ააგო. მარო
მაყაშვილის საფლავიც დაიკარგა...

ქართველმა სტუდენტებმა უნივერსიტეტის გახსნის
მეოთხე წლისთავი გლოვით აღნიშნეს, „ნასულის 25
თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებ-
ლობა ტლანქად გაითელა უცხო უზემი ძალის მიერ,
ქართველ ერს დაუდგა მძიმე სამგლოვიარო დღეები და
ყოველი საზემო დღესასწაული შავი ძაძებით შეიშობა, ცხა-
დაია, რომ ქართველი სტუდენტობა განუყოფელი ნაწილი
მთელი ერისა, ჩვეულებრივად ვერ იდღესასწაულებდა თავის
ტრადიციულ დღეს — ეროვნული კულტურის დასახსნის და
ვერ დაარდევდა ეროვნულ მთლიან გლოვას. ასეც მოხდა.
ქართველმა სტუდენტებმა 26 იანვარი გამოაცხადა
მწუხარების დღედ. ამისთვის განიზრახა სამგლოვიარო
პანიშვილის გადახდა იმ გმირთა სხვისთვის, რომელნიც
გმირულად დაიხოცნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის
გადახდილი ომებში.“ — წერია ტვილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის სტუდენტობის ბიულეტენში, რომელიც 1922
წელს გააქრცულეს ახალგაზრდებმა. მერე დიხანმა, 70 წლის
განმავლობაში, კომუნისტური მმართველობა 25 თებერვალს
— წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის დღეს —
ზეიმობდა... ათწილი წლების შემდეგ, 1989 წელს ერო-
ნულ-განმათავისუფლებელმა და სტუდენტურმა მოძრაობამ
25 თებერვალი გლოვის დღედ გამოაცხადა და საპროტესტო
აქცია მოაწეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ,
რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში
გრანდიოზული მიტინგით დაგვიგვირდა.

„ყოველი ქართველი გრძნობდა თავის თავს
თავისუფლად. ატაცების ღიმილი უერთოდ ყოველს...
ძლიერ გვედრისა და ქართულ დროშიც დაინახები. და
მეშვიერად ფრიალებდნენ... მე სულ მაყანაკლებდა. ჩემს
არსებში რაღაცა თრთოდა. ოჰ, რად გვიშლიან სხვები, რა
უნდათ ჩვენგან? წმიადი გიორგი, იყავ მფარველი
საქართველოს!“ — ასე განიცდიდა 1918 წლის დეკემბერი
დამოუკიდებლობის 6 თვის ზეიმს მარო მაყაშვილი. ნაცნობი
გრწონდა ჰქონდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართველი
ახალგაზრდობას უნივერსიტეტის გუმბათზე საბჭოთა
დროშის ნაცვლად საქართველოს დემოკრატიული სახ-
ელმწიფოს შავ-თეთრ-მწაბული აღმის აღმარებისას.

სტუდენტობა ყველგან სტუდენტობა... ენერგიული,
დაუღლაღი, მეოცნებე, ეროვნული ენერგიის მატარებე-
ლი... თავისუფლებადაკარგული კვეყნის სტუდენტობა
მითუფრო დაუფრთხილო სულის ქვეყნითაა განსტყველ-
ლი. თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობის წინააღმდე-
გობა არსებული რეჟიმისამდე ხან მინავლებდოდა (თითქმის
ტკივილი მიუშვებოდა), ხან ახალი ძალით იფეთქებდა.
უნივერსიტეტის თეთრი კედლები არასოდეს მოუტოვებია

ტაბაქმელის თეთრ თოვლში მოცველილი ახალგაზრდა მამო მყავამელის მემამოზე ენერგია, ხან ჩნდებოდა, ხან ქაში მიფარებოდა, რათა ახალი ძალით გამოჩენილიყო 1942 წლის შექმულთა, სამანელის (საქართველოს აკვედემისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები) ამბოხში, 1978 წელს ქართული ენის დამცველი ახალგაზრდების, მეოცე საუკუნის 90-ანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი სტრუქტურული მოძრაობის, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველ მებრძოლთა სახით... „დაპყრობილ ქვეყანას უნდა ჰყავდეს მნივნილოვანი და ხელისუფლებანი, რათა არ განყდეს კულტურის უწყვეტი ჯაჭვი, — წერს ერთგან მწერალი როსტომ ჩხეიძე, — უნდა ჰყავდეს პიროვნებანი, ვინც მკვეთრად შეეხლენ ბიან ხელისუფლებას, ოღონდ არც ისე გაიზიანდნან საქმეს, სატუსალოში ამოჰყონ თავი, უნდა ჰყავდეს საპატრიოტოებში გამოჩენილი თუ გადასახლებული მამული-მშველიც, უნდა ჰყავდეს — თუკი აუცილებელი შეიქმნა — იარაღით ხელში გამოსულნი და არც ზეარაკად შეჩერდნენ (ში, ლმერთო) უნდა მოხსიკლნოს. ეს ველადერი ერთად ქმნის ნი ააღ მდგეგობის სულს, რასაც ველარაფერი ჩაქლავს.“ ქართულ უნივერსიტეტში მნივნილოვანი-მეცნიერნიც მოღვაწეობდნენ (რომელთაგან ბევრი აუდიტორიებიდანაც გამოიადე და სატუსალოებშიც გამოიამყვდა ანტიკორუპციული რეჟიმმა), სამშობლოს თავისუფლებისათვის იარაღით გამოუსულნი იყვნენ და ზეარაკად შეჩერდნენ...



თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: (სხედან) მიხეილ კონიაშვილი, ვრიკოლა ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდიბულიძე, მიხეილ თაქაიშვილი, (დგანან) ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსესელი, ანდრია ბენაშვილი, ვასილ კაკაბაძე, ნიკო ჩიკოვანი, სლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ვჰგანი ჭოლოშვილი

მეოცე საუკუნის ოციან წლებში მერს კიდეც მყოფ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუსტი საერთაშორისო მხარდაჭერის გამო, ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის სტრუქტურებშიც, მუდმივად არსებობდა გარეშე ძალის აგრესიისა და თავისუფლების დაკარგვის შიში. „შენს გაუშვამლობას არ ეყო შენს თვალთმაქც სამეფოში ზედ-მათა და უდნანაშალოთა დანთხეული სისხლი და აპა, შენს მურტალ ხელს ჩემსკენ იძვირ, რომ შეარხიო ჩემი სულის სიმშვიდე... შენი მუქარა მე ვერ მამოხრებს... თუ მოიქცევი, მზნადა ვარ გამოვიწოდო ძმური კავშირის ხელი და თუ არ შეიცვლი ბოროტ განზრახვებს, შეც ძალა შემიწევს. ტყუილად ფურცობ კვლავ დამპირონ...“ — წერდნენ ახალგაზრდები საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის პირველ სტრუქტურულ უფროს „მოზაელში“ 1920 წლის მაისში. მაგრამ ეს იყო პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების მიერ შეტორტმანებული სამყარო და იმავე სტრუქტურების სიტყვით, რომ ვიქცავთ, გახახლებსა და აღორძინების ჭზაზე მდგარი საქართველო, კანაბიქრებულ ოკეანეში განმარტობებულ კუნძულად ქცეული, ბევრ დაბრკოლებას, ძლიერ ქარტეხილს მოელოდა... ოცდამეერთე საუკუნეში ქართული ახალგაზრდები ვერ წარმოადგენდნენ, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლაში მართ მყავამელის დალუპებან 87 წლის შემდეგ ისტორია ტრავიკული სიზუსტით კვლავ გამეორდებოდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა კვლავ რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა.

...ახალგაზრდობაში ლექსებს ვინ არ წერს?.. ისიც წერდა ლექსებს, ჩუმიად, თავისთვის. სიყვარულზე წერდა, სიკეთეზე და სამშობლოზე წერდა... მისტიკასა და ფაბულურ ნინასწარ ქვრეტას მერე აღმოაჩენს მკითხველი მის ბოლოდროინდელ ლექსში, რომდნაც მისი ავტორის სული ქართულ გვირგვინზე ციკორ საუფლოს შეუერთდება: „იანაცხეს საქართველო იმ ვეჯაკე ბიქვითია, ვინც იბძლია, ვინც დაღვარა სისხლი საქართველოსთვისა და შეკლეს სამუდამოდ მათ კარებს სამართისა.“

ეს ლექსი შალვა გაბუნიაძე 2008 წლის გაზაფხულზე დაწერა. შალვა 1989 წელს დაიბადა. 2006 წელს დაამთავრა ქ. ფოთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სკოლა და იმავე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმახინტარული ფაკულტეტის სტრუქტურა გახდა. მომავალ საქვიალოზად არამოსტკეა აირჩია. სექტემბრიდან შალვას ქუვეციტის უნივერსიტეტის ენების ცენტრში უნდა ესწავლა არაბული... — 2008 წლის 6 აგვისტოს, საქართველოზე რუსეთის ჯარის მიერ განხორციელებული შემოტევის პირველსავე დღეს სამშობლოს დასაცავად წავიდა. 8 აგვისტოს სენაკის რეზერვისტთა ბანაკის დაბომბვისას ორჯერ გამოიყვანა დაჭრილი მჭკობრები სამშვიდობის, მესამედ ნულარ წახვალა, — ურჩიეს, არ დაიჯერა, დაჭრილებს დახმარება სჭირდებოდა... შესამედაც წავიდა და უკვდავებაში გადაამიჯდა...

თაობები მიდიან და მოაქვთ ახალი ენერგია და იმედი. მიდიან და მათ მიაკვთ პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი, რომლის ხილად დირსება ვერავინ და ვერაფერა გაახუნა.



ვახტანგ ჯავახიძე

ხეცდომა თუ დანახაული?

ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, ნომერი ხუთი. აქ, ელიტარული სამკურნალო კომპლექსის ეზოში, მეორე სართულზე ასასულელი კიბისა და ძირითადი კედლის კუთხეში, 1959 წლის ჩეიფმეტ მარტს, ჩეიფმეტ საათისა და ორმოცდაათი წუთზე, დედაც გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა, ისე რომ წვეთი სისხლი არ დაუღვრია და მინაზე არაფითარი კვალი არ დაუტოვებია.

ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამ ადგილას გაიარა და გამოიარა ათასობით, მილიონობით ადამიანი, რომელთაგან ერთეულებმა თუ იცოდნენ ამ ფაქტის შესახებ. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არათუ რეალობა მოქალაქეებმა, კომპლექსის დირექციამაც დაივიწყა, რომელიც ისტორიულ შენობაში უბედობდა მოღვაწეობდა.

დაახლოებით ათი წლის წინათ, ცნობილი ქართველი მხატვრის თენგიზ შირვაშიძის ანუ ჩუბჭიკას სახელოსნო-სალონი, გაჩნდა იდეა: ამ შეუმჩნეველ და მივიწყებულ კუთხეში დაგვედო ვებერტილა ლოდი და ნაგვეწერა: „1959 წლის 17 მარტს აქ დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ“. გამოითქვა მოსაზრება, რომ არაგვის ხეობაში შეიძლება ასეთი დიდი ლოდის მოპოვება. ზამთარი იდგა და იდეის აღსრულება გაზაფხულისათვის გადაედეთ. გაზაფხულზე ჩვენი ყურადღება პოლიტიკურმა მოვლენებმა უფრო მიიპყრეს. მოგვიანებით უნივერსიტეტის

ხელმძღვანელობას (ვინაიდან სამკურნალო კომპლექსი უნივერსიტეტს გადაეცა) ვაცნობე ამ იდეის შესახებ, ჩემი „უცნობშიც“ მიუთითო წმინდა ადგილის აღნიშვნის აუცილებლობაზე.

წელს ამ საბუდისნერო თარიღს ნახევარი საუკუნე უსრულდება. 2009 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დამირეკა გალაკტიონის პარტიოტმა ფიზიკოსმა ვანო ყვავილაშვილმა და გამოთქვა სურვილი ჩვენი განუხორციელებელი იდეის დაფინანსებისა.

ადგილის წინასწარი დათვლიერების მიზნით, მეორე დღესვე ვენვით სამკურნალო კომპლექსს. სამწუხაროდ, კიბისა და შენობის კუთხეში, პირველ სართულზე ადრე განლაგებულ საქვების ფანჯარაზე, მიშენებული აღმორდა პატარა — დაახლოებით ოცი კვადრატული მეტრი ფართობის — ნაგებობა, რომელშიც მოექცა ჩვენთვის საინტერესო ადგილი. არადა, საქვებზე მეორე მხრიდანაც აქვს ასეთივე ფანჯარა, სადაც შეიძლება მიშენება, მაგრამ, როგორც ირკვევა, მაშინ მიშენებლები არავინ გააფრთხილა.

არ ვიცი, როდის მოხდა მიშენება, ეს ნებით თუ უნებლიე დანახაული, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და, ალბათ, არც ის ოთახი უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ მეოთხე სართულზე, რომელიც უკანასკნელი ნაბიჯები გადადგა „ეკარდისფერ გზაზე“ ასქარებულმა.

როგორც კომპლექსის დირექციამ გვაუწყა, სამკურნალო კომპლექსის ფართობისა და მისი ასპროექტის მიზნობრივი სახელმწიფოა. ამდენად თბილისის მერიისა და საკრებულოს უმტკიცებლად შეუძლიათ დააფინანსონ მიშენების გადაადგილება.

წულარ დაეყოფნებო, ნუ მივიღებთ მონაწილეობას დანახაულის კვალის დაფარვაში. ქართველ ერს არ უნდა დაუკარგოთ ეს წმინდა და საბუდისნერო ადგილი, როგორც გაფრთხილება, როგორც სამხილი, როგორც ბრალდება!

ასეთი იყო გალაკტიონის აღსასრულის ადგილი



ასე გამოიყურება დღეს



ნინო ვახანია

მესამე განზომილება

2008 წლის „ჩვენი მწერლობის“ მე-19 და მე-20 ნომრებში ორი უჩვეულო ნოველა გამოქვეყნდა (დინო ბუცატისა და რუბენ დარჩიოს). უცნაური და უჩვეულო თვით ნოველათა სიუჟეტებია და კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ ასე განსხვავებული ნოველები საერთო საფიქრალსაც აღძრავს, მარადიულ და საჭირობოტო საკითხებზე დააფიქრებს მკითხველს, ჩვეულებრივი, ყოველდღიური, მუქანიური დროიდან ამოგდებს და თავის საკუთარ დროში აცხოვრებს, მცირე ხნით მაინც, თუმცა, ვინ იცის, რა არის დრო და ხანი...

დინო ბუცატი, „შეხვედრა აინშტაინთან“

თარგმანი ჯანო ჯიქიძემ.

უსანსრული და შეუცნობელი სამყარო შექმნა შემოქმედმა, ჩვენ, კაცთა მოგვცა? სასიამოვნოდაც და თანაში საცემდაც. რა არ ასვენებს ადამიანურ გონებას? რად სურს, საზღვარი იქით გადაიხედოს, საიდუმლო აღარ დატოვოს, თვით უზენაესი გაუტოლდეს და შევიტროს? შესაძლებელია, ამ შევიტრებში ადამიანი, ღვთის მიერ შექმნილია შემოსაზღვრულმა გონმა გაიმარჯვოს, აჯობოს ყველგან მყოფ, მარადიულ, შეუზღუდავ გონს? დიონ ბუცატის ნოველათა („მეჩინა“) მთარგმნელი და შესანიშნავი ესეის ავტორი გვაკ სურდაია წერს: „თავიდანვე მარცხისათვის განწინარულია უსასრულო სამყაროს სრულად შეცნობის ცდა“.

სხვა სამყაროს, შესაძვე განზომილების არსებობის რწმენა აწვალავს კაცობრიობის ნაწილს გაჩენის დღიდან. განა არა, ნაშით უზილათ, ნაშით შეუტრეზნათ, მერე მისი ბსოცნა ეერასოდეს ამოუშლიათ გულდანი და მწარედ უკენესათ: „მასსოვს იგი დრო“, „მხოლოდ გული გრძნობს“, „ვერ განამოთქვამს ენითა“, „რალავ სხვა, ... მაგრამ სადაა დამაბასტურებელი მეცნიერი საბუთი? ფოტო, მონში ან რაიმე სხვა? თუნდაც ფორმულა? ნოველის პერსონაჟმა აინშტაინმა (შეცინერის, მოახლოების განზომილებული სახე) მყისიერად გამრულდებული სიერცე იხილა. იგი, მკითხველო, ეს სიერცე რა სიერცეა? დადგინდა. გადაწვდა. გაირღვა გონების წინაშე აღმართული ყველა ზღუდე და ჯებირი. აზრმა შეაღწია ყველა ნაპარსში. აღარაფერი დარჩება აღმწერელ-აღმწესნავი. საგნებით შესაძლებელია სამყაროს დამსა-დანალიკება უმცირეს ერთეულად და ისე შესწავლა. კაცობრიობის ხელისაგულზე გადაქმლება პასუხი ყველა იდუმალ და დღემდე პასუხგუცემელ შეკითხვაზე. აი, სულისა და სხეულის ინდგამარება, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე. მხოლოდ ქალაქდზე გადატანა, ფორმულის მორგება და დარჩა და... მაგრამ აინშტაინის სიუველი გაახარებს ეინშტ განა?“ თუმც

ის, უზილავე ყველას რომ დასცქერის და კაცის ბჭობაზე იცინის ხოლმე?... სწორედ ამ დროს აინშტაინს ხორც-შესხმული სიკვდილი გადაეყარა.

ბენზოკოლონის შემის ტანსაცმელი ჩაცმული, კუნთმაგარი ზანგი-სიკვდილი (მთამბეჭდი მხატვრული სახე) სრულიად მოულოდნელად (როგორც ყველას და ყოველთვის) შეხვდა და სული მოსთხოვა. აქ წუთისოფლის ამოუბასა და სიკვდე-სიცოცხლის პრობლემაზე დავ-ვაფიქრებს მწერალი, მაგრამ რაც შემდეგ ხდება... ორჯერ სიკვდელგადავაგებული მეცნიერი სამუშაოს ამოაგრებს. მისია შესრულდება, მისი თამამად შეუძლია, სიკვდილს დაემორჩილოს. ნოველის ფინალში კი ირკვევა, რომ იმეკენად ნასვლის შიში აუცილებელი ყოფილა მეცნიერული გამოკვლევის დროულად დასამთავრებლად. ხოლო შედეგი? უწყინარი ფორმულები კაცობრიობის ბედნიერებას როდი ემსახურება. ეშმაკთა და ტარტაროზთა საუფლოში ზემოკიდდება. ღვთის ნათის გაბრწყინებას კი არ მოახსენებს, კატასტროფისა და სრული სიზნელის საწინდარი.

იქნებ არც უნდა შეიქრას ცოფილი კაცი უზენაესის საიდუმლოში? უფრო სწორად, არც კი სცადოს ბედის საზღვრის გადახეხვა, იქით გადახეხვა? დატკბეთ ამ სამყაროში, უთვალავი ფერი რომ გვევობა და ის ერთი, ერთადერთი აქრძალვა თუ სურვილი შეგსრულით — ნუ ვისვენებთ, ნუ მოვიწოდებთ, ნუ გადაიხეხავთ... უზენაესის მიერ განწმენდილი ზეფთია და სწინით ბრმად ნუ ვისარგებლებთ, თორემ ჩვენივე თავებდობა ვითომ სასიხარულოდ ჩვეს გულს ექნება? რით დამთავრდა მინდა გაღწევა ზედასიხარუ სახეაროში? რით დამთავრდა მიზლოური იაკობის შერკინება უფლის ანგლოზიანა?..

მაგრამ რა უყუთი იმ ერთ, ერთადერთ ნაშს, რომელიც მთელი სიცოცხლის ტოლფასია? რით შევადგინო, როგორ გავზომოთ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა? და საერთოდ, რა არის დრო ან სიცოცხლე?

აუხსენლია გზანი უფლისაინ...

II

„დამისახელებ ბრძენი, რომელიც გაბედავს და იტყვის ეს ასე“. ჩვენ არაფერი ვუწყით... ვინ იცის, დანამდელებით, რა არის დრო? ვინ აგისნით დამაჯერებლად, რა არის სიერცე? მეცნიერება ბრმასავით, ხელის ფათორი მიიკვლავს გზას და, როდესაც ქუმპირიტების მართალ ნათებას მოჰკრავს თვალს, ჰკონია, მიზანს მივაწივთ? — მაგრამ ეს ხომ სხვა მწერლის სხვა ნოველიდანა (რუბენ დარჩი. „სენიორიტა ამელიას ამბავი“). თარგმანი ელენორა კუჭავამი.

კიდევ ერთი თავგრდამხვევი, იდუმალი, აუხსენლი და თვისი უცნაურობით მიმზიდველი სიუჟეტი. ნოველამი ამბავს ბრძენი ექიმი ყვება. ფართო განათლებისა და ინტერესების მქონე ადამიანი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ეუფლებოდა კაცობრიობის მიერ დარკოვნილ ცოდნას, ვინც შეისწავლა აღმოსავლეთიც, დასავლეთიც, მონლა ცა და დაბლა ხმელეთი, ყველადრის მცოდნე, ყველგან მჭერტიკა... რა შეიძლება ვერ ასწინს ამ ადამიანმა მეცნიერულად? რას



ვერ მისწვდება მისი ჭკუა, სიბრძნე, გამოცდილება? სულ უბრალო გარემოება ექცა თავსატეხად — სიყვარულით შეპყრობილი პატარა გოგოს უცნაურობა. უცნაურობა? უბრალო და უმნიშვნელო ამბავი? არ ჩაუთვლია უმნიშვნელოდ არც მწერალს, არც პერსონაჟს.

მხოლოდ ურწმუნო, იდეალებს მოკლებულ, შინაგანად ქაღალდ, სულით მკვდარ ადამიანს არ აძლევებს, არ შემტავს სენიორიტა ამელიას ბედისწერა. სალი გონებით, მტკიცე ლოგიკით მოუნდომელი, ჭკვიანი რომ ვერ მიხვდებიან, ისეთი ვრწმობა. სიყვარული და არც მთლად სიყვარული ჩვეულებრივი, სტანდარტული, ტრადიციული გაგებით. 12 წლის ბავშვი, ოჯახში სტუმრად მოსული ოცდაათს გადაბიჯებული მამაკაცისგან კამფეტებს ეღის, ის, სტუმარი ცოლად შერთვის უფროს დებს პპირდება, ამელიასთან კი ნრფელი, უმნიშვნელო გრძობები აკეთებებს. არ შეიძლება იმ უზიდავი ძაფების განყვება, მათ რომ აერთიანებ. ეს რომ მოხდეს, სამყარო უნდა ამოყრადვდეს, ყველაფერი უნდა გაუქნას, წარსულიც, აწმყოც და მომავალაც უკუნით უნდა დაიბრუნოს. მტკიცე, ურყვევი,

უნყვეტია ეს შინაგანი ლტოლვა. და ნეტა ჭმუშარტებამ ამ ერთხელ ასე თვალნათლივ იჩინა თავი? გამრუდებულმა სიერცემ, ჩვენთვის უხილავმა ხსვა, მესამე განზომილებამ ამ ერთფეროვან, ტრადიციულ დედამიწაზე აღბეჭდა თავისი ექვემდებარე არსებობა?

ოცდასამი წლის არყოფნის შემდეგ არგენტინაში დაბრუნებულ ექვსი ასეულის ცელქი, სიტოცხლით სახსე 12 წლის ამელია დახვდა ჩვეულებრივი, ყოველდღიური შეკითხვით: კამფეტები მომიტანენ? ოცდასამი წელი ამოიშალა მისი ცხოვრებიდან. ირგვლივ ყველაფერი და ყველა შეიცვალა. გაიბრინა დრომ (რომლის შესახებ არაფერიც არ ვიცით). ყველაზე აღიბეჭდა ნღების გასვლა, მაგრამ იმ მრუდში მოხვედრილ გოგონას (თუ გრძობას) ვერაფერი შეეხო, ვერაფერი მიეკარა.

და რა თუ მოხვებრივია: სენიორიტა ამელიას დროში დარჩენა უფრო დღების ნაზი გლეჯა და ნუხილი? ვისი ცხოვრება ემსგავსება ან არის ნამდვილი ცხოვრება? მართლაც რომ, აუხსნელია ჭზანი უფლისანი.

ქსპარს-ინტარვიუ

„ჩემი სევდა გავაჩუქე...“

საუბარი
მამუკა ვაშაქიძესთან

- ახლახან გამოიცა თქვენი მოთხრობების პირველი კრებული «გაჩუქებული სევდა», ხომ არ დაგვიანეთ?
- ამას დაგვიანება არ ჰქვია, ეს უფრო სიზარმაცეა.
- არ გეტყობათ, რომ ზარმაცი იყოთ.
- ჩემი საქმისთვის საკმაოზე მეტად ზარმაცი ვარ.
- რატომ დაარქვით თქვენს წიგნს «გაჩუქებული სევდა»?
- ყველა სევდანი ნოველა მოვაგროვე და მკითხველს ვაჩუქე. ჩემი სევდა გააჩუქე.
- როდის და როგორ შეიქმნა თქვენი პირველი მოთხრობა?
- ვერ კიდევ ბალში დავედი. სულელურ ზღაპრებს ვწერდი. ახლა მეცივინება, რომ მასხენდება.
- სერიოზული ნოველები?
- ეს უკვე სტუდენტობის დროს, ჩემი ლექტორის ავთანდილ არაბულის მეგულიანებით.
- პროფესიით თურნალიტი ხართ. გეხმარებათ პროფესია შემოქმედებაში?
- ძალიან. უამრავ ადამიანს ვხვდები, მწერლისთვის, თუ მწერალი გქვია, ეს ყველაზე მთავარია.

— რა პრობლემა ანუხებს დღეს მწერალს საქართველოში?

— მატერიალურის გარდა, არაფერი. ისეთ სანტერესო დროში ვცხოვრობთ, ყველანაირი თემა ხელისგულზე გაქვს გადაშლილი. წერე და იკითხე. სადარდებელს და საფიქრალს არ გილევევს.

— ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?

— ნიკო ლორთქიფანიძე, მისივე ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე.

— უცხოელებს არ სწყალობთ?

— ბოლო დროს იაპონელ და თურქ მწერლებს გკითხულობ.

— თქვენი წიგნი თქვენივე გრაფიკული ნამუშევრებითაა გაფორმებული. უფრო მეტად წერთ თუ ხატავთ?

— ერთნაირად. ვწერ, მერე გრაფიკულადაც ვაფორმებ.

— თქვენი მოთხრობები დათარიღებულია. მათ შორის, საკმაო დროა გასული.

— ხომ გითხარით, ზარმაცი ვარ-მეთქი. დიდ დროს კითხვას ვანდომებ. ამ პერიოდში ვერაფერს ვწერ. ვერც ვხატავ.

— ლიტერატურაში რომელი მიმდინარეობა მოგწონთ?





— მიმდინარეობაზე ვერაფერს გეტყვით. სტილი კი ისეთი მომწონს, როგორც ზემოხსენებული ჩემი საყვარელი მწერლები წერდნენ.

— თქვენი ნოველები ყველა მთავარი გმირი კვდება, რატომ?

— ყველა იქ მინდა დამხვდეს, სადაც, როცა დრო მოვა, მეც წავალ... გვოსტი ვარ.

— თქვენს ნიგნში ამაღლებულად მოგვითხრობთ გამოშვების „სამშობლოს“ შესახებ. რას ნიშნავს თქვენი „სამშობლო“?

— პირველად ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც მე და მამამ გამოშვებულმა „სამშობლოს“ შენობაში, ჟურნალ „დღეობაში“ ჩემი ნახატები მივიტანეთ. არ ვიცი, რა ერქვა იმ გრძნობას — შიში, რიდი თუ სხვა რამ. ნახატები დამბოჭდნენ. ვაზედა თითქმის ოცდასამი წელი და სწორედ აქ, გაზრდასა და პირველი „სამშობლო“ დაიწყო მუშაობა. მაშინაც ზუსტად ისეთივე გრძნობა დამეფუფრა და ბავშვობა გამახსენდა. ამ გამოშვებულობაში გაცივანი ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც ბრძანდებოდნენ ბატონები: მურმან ლუბანიძე, შოთა ნიშნაძე, რეზო ინანიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მხატვრები, მწერლები, მსახიობები, პოლიტიკოსები და... შემდეგ უმეტესობა ჩემი უახლოესი, უფროსი მეგობარი გახდა. ახლა წარმოიდგინეთ, რა უნდა იყოს ჩემთვის „სამშობლო“ და რა ტკივილი იქნებოდა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მისი ასეთი მხარე ხვედრი და ჩვენი იქიდან გამოშვება.

— როგორც შემოქმედს, რას გაძლევთ ოჯახი და შვილები?

— უნდა, როდესაც შვილები პატარები იყვნენ, ხელს მიმოდებდნენ, ახლა ფულს მართყმყენებ. ისე, ჩემი შვილები ჩემი მეგობრებიც არიან, მაგრამ ზღვარი, რომელიც ვითარდება მინდა ნაწილობა (როგორც არ უნდა გააკვირდეთ), მათ მამა-შვილის დამოკიდებულებას უფრო უმჯაფრებს.

— თუ დაგინერიათ შვილებზე რაიმე?

— ნიგნში ჩემს ვაჭებზე მხოლოდ ერთი ჩანახატია. დასახელებად კი ვამზადებ სერიებს, რომლის პირობითი სათაურია „წერილები ჩემს შვილებს“. მათი უმეტესობაც მათ დაბადებამდე დაწერე.

— ერთ ჩანახატში „ონისებ უკვე ისწავლა ქართული“ თქვენს უმცროს ვაჭზე წერთ, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს...

— ონისებ პარიზში დაიბადა და გაიზარდა. დედამისმა იგი პირველად სწორედ ნოემბრის დღეებში ჩამოიყვანა თბილისში და მამაც და მძინვე-პირველად მამის ყოველი (თუმცა ტელეფონითა და ინტერნეტით თითქმის ყოველდღეობად ვეზმინახეობდით ერთმანეთს). ნოველაში კი ნამდვილი ამბავია აღწერილი. ონისებ ნიჭიერი ბჭიძე, თბილი და არც ისე დამოუკიდებელი, როგორც უცხოელი მოზარდები არიან. ქართველი თანატოლებისაგან, მხოლოდ ფრანგულ-ქართული აქცენტით განსხვავდება. გატაცებულია მუსიკით და... ჭიდაობაში საპირიზო ადგილებზეც გადის.

— ნიგნს მამის ხსენება ეძღვნება, ხშირად გენატრებათ სოფელი?

— მამა სრულიად ახალგაზრდა, ორმოცდაათექვსმეტი წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა, მან სიკვდილის წინ

მშობლების გვერდით, სოფელში ისურვა დაკარალვა. უკანასკნელი თბილისე შეუსრულეთ... და ამით არ ვკარგავთ მამაპაპისებულ კერას, იმის მიუხედავად, რომ ქალაქიდან ჩასვლა ხშირად ჭირს, მაგრამ დედის წყალობით მაინც ვუვლით კარ-მიღამის. ჩემი ნიგნის მოთხოვნების უმეტესობა ჩემს სოფელზეა დაწერილი და ბავშვობის გახსენებაა. მონატრებით უფრო იქ გატარებული ბავშვობის დღეები მენატრება.

— „დრო მდინარეა, ქალი კი — ხიდი“ — ეს ოთარ ჭილაძეა. თქვენი თქვა?

— ბატონი ოთარი ჩემი უსაყვარლესი მწერალია. უფლებაც არ მაქვს, რომ არ დავეთანხმო, მაგრამ ერთს დავამატებ: თუ თერგვით მოვარდნილ დროში მოგინდევს ცხოვრება, ცუდი არ იქნება რამდენიმე ხიდის იმედი გქონდეს.

— რას როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში ბედისწერა?

— ბედისწერის მჯერა და ამის საფუძველს სხვთა ცხოვრება კი არა, თავად ჩემი ცხოვრება მამძღვრებს. ჩემი ორივე ბუბია ახალგაზრდა გარდაიცვალა და ორივენი ჩემი მშობლების ამქვეყნად მოლოდინებს გადაყენდნენ. ორივე ბაბუა 1969 წლის რომ დღეს გარდაიცვალა. ჩემს ნოველებში მოხსენებული ბუბია და ბაბუა მამის მხრიდან მამა-ჩემის გამაზრდებელი იყვნენ. მამა უკვე ცოლშვილიანი იყო, ამის შესახებ რომ შეგაცყო.

— რას ვერ აპატიებთ მეგობარს?

— ღალატს, დანარჩენი ყველაფრის პატიება შემიძლია.

— როდის ხართ ნიღბით?

— არასოდეს. ისე კი მიცვია, მაგრამ არ გამოდის. მოკლედ „სპრიატის“ რეკლამისაგან ვარ — იყავი ის, მოკე ხარ!

— ყველაზე მეტად რა ან ვინ გენატრებათ?

— არავინ და არაფერი არ მენატრება. რატომ? ყველანი და ყველაფერი ჩემს ყოველდღიურ ფიქრებში, ნაწერებში არიან. ასე რომ, მათ „მოსანატრებელს“ არ ვაძლევ.

მე სოხუმზე ფიქრი ვიძინებ და ვიღვიძებ, ვფიქრობ ჩემს ნაადრევად წასულ მეგობრებზე, მამაზე, წინაპრებზე, სოფელზე, ჩემს სათაყვანებელ თბილისზე... ეს ფიქრი კი მონატრების საშუალებას არ მძლევს.

— გაძლავთ ექსპრეს-ინტერვიუსთვის.

— პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი უსაყვარლესი, პროფესიული და საინტერესო უწრნაღის ნიგნით დამითმეთ. ყოველ მეორე პარასკევს ხომ სულმოუთქმელად ველოდები.

— თქვენ თბილისი ახსენეთ, „ჩვენი მწერლობის“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება თქვენი თვალით დანახული თბილისი და თბილისელები...

— საშინელებაა... თბილისელებმა თბილისური კანონითა და ადით-ნესებით უნდა იცხოვრონ. ახლა პირიქითაა — თბილისი უნდათ თვინათი კანონით აცხოვრონ. ამაში „თინეიჯერული“ სურვილთა გაფეტიმებას ლომის ნიღბი უძევს.

ესაუბრა
თამარ შიშიშვილი



ნონა კუპრიშვილი

თავაზით შეპყრობილი

აინსა ერთ მოქმედებად

ოთახი. მამაკაცი ლოგინში წევს. ავადაა. ცოლი შუბლზე დადებებს ხელს.

ცოლი: სიცხე გაქვს. რა გიყო ახლა... შენ მოგიგეო, თუ სიცხიან ზაგმუთან ნაიდეუ... ის ხომ ჩემი შვილიშვილია... იმასაც მოხდევა უნდა...

მამაკაცი: ზაგმუთან ნაიდე... იმას მიხედე. ჩემს თავს როგორმე თვითონ მოვუვლი [პაუზა. ცოლს შეხედავს. შთელი სერიოზულობით] რა ეღერება თუ იცი დამარხება?

ცოლი: [გაღიზიანებით] შენ მართლა სიცხე გაქვს... რეებს ზოდად... აი, ეს ნამღლები დალიე, ოღონდ ერთბაშად არა... თანმიმდევრობით... [გადაჭრით] უნდა ნაიდე, სხვა გზა არა მაცქვს.

მამაკაცი: [კავი ხორავას ინტონაციით] -ჯერ შეიცადეო, მათქმუენით ორიოდ სიტყვა...

ცოლი: არ იმღი ხომ მასხარობას? [სამხარულაში გადის. ისმის ქურქლის ხმაური. იქიდან] რამდენჯერ გადის, ზოტის გამო მაინც მიიდი იმ გაიხთან თუ გაგასთან მეთქი... ზოლოს და ზოლოს, შენი თანაკურსელი ხომ იყო. თავი ვერაფერს მოაბი, აშასაც კი...

მამაკაცი: ნუ დამინყებ ახლა თავიდან... ავადმყოფობა მაინც მაცალე...

ცოლი: [მოიხეობთ სიშშივით, უფრო განუზრუნვლობით] საქმელი ქურაზე... დაგირეკე [ისმის შემოსასვლელი კარის დახურვის ხმა]

მამაკაცი: [ნაშტობით] „მადლობა ღმერთს, ძლიერ მარტო დავრჩი-იი“ [შეღისტოვებული ხარხარა] ჰა, ჰა, ჰა... [ხალას იცეამს. დგება. ლახლასით მიდის სარკესთან] ეს შენა ხარ? რას გეცხარ, შე ჩემბ...

ხმა სარკის სიღრმიდან: მე მულებები?

მამაკაცი: [შუბლზე ხელს იდებს] მგონი, მართლა ცუდ-ადა ვარ... [შემიზნებული მიხედ-მოხედვაც]

ისმის ძლიერი ჭექა-ქუხილის ხმა. მამაკაცი სასწრაფოდ ხურავს ოდნავ გამოღებულ სარკმელს. კვლავ სარკეს უბრუნდება. საკუთარ თავზე დაკვირვებას განაგრძობს. თავზე ხელს გადაისხამს. ორი თითი თუბლობან დადევლი ნაოჭს ისწორებს.

მამაკაცი: [წინისმოგებით] როგორი ორპირივით ბრძანა ჩემმა ცოლმა? ულიადეს... ჰო, მგონი ასეთი-ადეს... ეივლად მოდური მწერალი ყოფილა... ერთი რომანი აქვს. შენ რომ გიყურებ, მისი რომანის პერსონაჟი მახსენდება, დაჩაჩანაკებული პროფესორი, რომელსაც ჭექა-ქუხილის დროს მეხი მოხედება და გაახალგაზრდავ-

ებს... [მხრებში ლაღად იმღება] მიდი ახლა, რაც ვერ მოახარო, ის აკეთე... [კვლავ დაიქუხებს] ეუუუ... [მამაკაცი შეკრთება] მიდიო, თუ კარგი ბიჭი ხარო... [ნაღვლიანად ჩაიციუნებს] თითქოს ასე ადვილი იყოს... ნუდა მე რას ვიზამდი, ასეთი ბუდი რომ მწეოდა? რაც არ მითამაშა, იმ როლებს მივეარდებოდი თუ დამჩორებულნი... [აზრის დასრულებას ვერ ასწრებს].

კარვს ვიღაც ვერკავს.

მამაკაცი: [უკმაყოფილოდ] დაბრუნდა... როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაც დააინყვებოდა... [კარს აღებს]

ზღვრულზე ორი უცნობი მამაკაცი დგას.

I უცნობი: თქვენგან ხომ არ წვეთავს?

მამაკაცი: ბატონო?

II უცნობი: თქვენგან ხომ არ უწინავს... ყველა სადარბაზო მოვიარეთ და ვისგან წვეთავს, ვერ დავადგინეთ... თუ არ შეგახსურებთ, თქვენს სააბაზანოს დავაიკვლიერებო... [ინვერ შემოსასვლელად]

მამაკაცი: [ენის ბორძიკით] მ... მ... მობრძანდით, ბატონო!

კატულუსი, რომელიც ძველი ნელათარიცხვის პირველ საუკუნეში ცხოვრობდა, შეიძლება ითქვას, რომადელ პოეტთან დღეს ყველაზე ცოცხალ და „უბერებელ“ პოეტად მიიჩნევა. „ლესბიას ციკლში“ (ასე უწოდებდა პოეტი თავის სატრეფოს) მას დიდი პოპულარობა მოუხვეჭა. კატულუსის ლირიკას პირობითად სამ ციკლად მირვე: პირველ ციკლში აერთიანებენ ლესბიას დანერვილ სატრფილო ლექსებს, მეორეში — მეგობრებსა და მტრებზე დანერვილ (სწორედ ამ ციკლს მიეკუთვნება მისი პასარი ირონიით გაჯერებული საღანდავ-განმავიქებელი ლექსები), ხოლო მესამე — ეპილიონებს, ეპითალამიკებს და პიმნური ტიპის ტექსტებს, რომლებიც ბერძნულენოვანი პოეტური ტრადიციიდან მომდინარეობენ და კატულუსის წინა ციკლებთან შედარებით აქ ნაკლებ თავისუფალია. „ბერნიკეს ნანაი“, ეს მცირე ზომის ლირიკული პოემა, სწორედ ამ მესამე ციკლს მიეკუთვნება. დანარჩენი ლექსები მეორე ციკლიდანაა, თუმცა, შესაძლოა, პოლო პატარა ლექსი ლესბიასაც მიემათებოდეს. ყველა მთავარი ქართულად პირველად ითარგმნება.

„ბერნიკეს ნანაი“, ეს ვრცელი ლექსი თუ მცირე პოემა, როგორც ამას თავად კატულუსი გავაწყვებს, კალიმაქესგან მომდინარეობს („ბატიადესისგან ვაფთხოვნი“, წმ. 16). ბატიადესი, იგივე კალიმაქე, ცნობილი ბერძნულენოვანი პოეტი იყო, ცხოვრობდა ალექსანდრედი III საუკუნეში წყნს ნელათარიცხვამდე. კატულუსისეული ტექსტი თავისუფალ თარგმანად მიიჩნევა, თუმცა რამის დაბეჯითობით თქმა ძნელია, რადგან დედანი დაკარგულია.

დედოფალი ბერნიკე პტოლემეის ევერეტისის, ეგვიპტის მეფის, მეუღლე იყო. პტოლემეაოსი გამეფებისა და დაქორწინებისთანავე (რაც ითქმის ერთდროულად მოხდა, ძვ.წ. 277 წ.) იძულებული შეიქნა უცერად იმში წასულიყო. პოემა ამ ისტორიულ მომენტს იყენებს და მთოლოგიზებულ სიუჟეტს აგებს. დედოფალი აღთქმას დებს, რომ თავის ნანავეს, უფრო სწორედ, ზოფსა თუ აუღლას, ქალმებრები შესწირავს მსხვერპლად. კულუს აფროდიტეს (ვენუსის) ტაძარში დებენ და ცოტა ხანში მისი კვლი გაქრება, მაგრამ თელ მადლ ცნობილი ასტრონომი კონონი მას ცაზე თანავარსკვლავედად ქველას აღმოაჩენს. მთელი ლექსი სწორედ ამ თანავარსკვლავედად ქველი კულუსის მონოლოგს წარმოადგენს. ტექსტი მოხსენიებული არსიწოე ასევე მთოლოგიზებული ისტორიული პოემა, სამეფო წყვილის ბებია, რომელიც ქალმებრთან იქნა გამოცხადებული და ზეფრიონის მთაზე, ნილოსის დელტასთან, ქალაქ კანოპოსის მახლობლად, მის სახელზე სამლოცველო ააგეს. მისი „დაქორსული რაწის“ ამბავი სხვა წყაროებში არ მომღწევა და ეს მთხმნება კომენტატორთათვის უმადლოვანია. დანარჩენი სახელები, მათ შორის თანავარსკვლავედას სახელწოდებები, ვუქრობთ, განმარტებას არ საჭიროებს, ისედაც მისახვედრია.

გაიუს ვალერიუს კატულუსი

უნაზღეს პოეტს, ჩემს მეგობარს, ჩემს ცეცილიუსს, დაუბრავს, გადისაცეს ამ უსტარამა ჩემი მისი ციკლის, თუბრა, ვერონას ჩამოვიდეს, მსწრაფლ მიატოვოს, აბალი კომი, ლარისის ტბის ნაპირები. კაცი, საოცრად აბლობელი, ჩემიც და მისიც, გაანდობს ნაფიქრს, ნაუკითხავს, რაც რამ დაწერა. თუკი ისორივებს, ფიანდაზად გზა დაიფიქროს და გაპოქორედეს, ნუ მიხედავს, თუნდაც ათასგზის შემოაბრუნოს, შემოაქდოს ყელზე მკლავები, ლამაზმა გოგომ და ჩურჩულით დაირენა სიხოფოს. ო, ის პატარა, როგორც მიხორებს, შეყრბობლია გიჟური ენებით, სიყვარულმა სრულად მოწონსა, და ეს მას მერე, დასაწყისი რაც ნაიკითხა ცეცილიუსის პოემისა დედა ქალმებრებო. თურმე ეგ ცეცხლი, რაც დრო გადის, უფრო ლევიდება... საპლოს მუზაზე გონიერო, ჭკვიანო გოგოც, მე მესმის შენი, ჭეშმარიტად დიდებულია, მშვენიერია „დიდ დედა“ ცეცილიუსის.

გემუდარები, თუ სამწლო არ იყოს შენთვის, ნულარ გვაწვავლებ, გაგეფიხილუ, სად იხალები.

ბევრი გეტყვ: მარსის მცირე ველზეც ფიყავი, ცირკსაც ვესტუმრე, წიგნის ყველა ფიადულს ვენვიე, იუპიტერის დიდ ტაძარშიც შემეფიხიდე, და პომპეუსის სევეტიანს პორტიკს დაეყვიე. გზად ყველა გოგოს ვაწერებდი, ვინც ეკ შემომხვდა, ვისაც სახეზე სიღამაზის დიმი უკრთოდა, ვეკითხებოდი ჩაციებით: „თქვით, მიპასუხეთ, თქვე საძაგებობ, სად დამალეთ კამერიუსი?“ ერთმა გულმდგირად გაიღელა და მომიყვარა: „აქ, ამ ვარდისფერ კერტებს შორის მყოფს ჩამარბული“. შენი მოძებნა პერკულუსის მიძმე შიპოსია! რატომ გაგვიბრძო, ქედმაღლურად ზურგს რად გვიკვირებ?! სად შეიძლება ცაცმა განახოს, მითხარ, მაუნყე! გამოძიებულ სამზეოზე შენი ამბავი. თუთრმა ლამაზმა გოგონებმა ტყვედ ნაფიყვიანეს? თუ გაქუმდები, ანუ ენას კიღოს თუ დააჭირ, ტრფობის სიამე სანახეროდ დაკარგულია, სასიყვარულო მითქმა-მითქმა ვენუსს ახარებეს! მაგრამ თუ გინდა, სურვას იტყვი, ქვენ, რაც გუნდადოს, იბრუნე ნამდვილი სიყვარულის იფიც მენილუ!

ვარუს, სუფენუსს შენც ზომ მშვენიერად იცნობ, კაცი ნატიფი, ენაკვიპობი, ზრდილი, ამას დაურთე, თანაც ლექსების მიზხველი, დღეში ათასს წერს, ხან ათი ათასს, მეტსაც,



ოღონდ ძველმოდურ ჩვენს პალიმფსესტზე — არა, მეფურ ქალაქზე, მდიდრულ ქალაქზე უყვარს, ნითელ ბაფთებით, ლამაზ თასმებით შეკრულ, პეშნით ნახეზზე, განწორებულზე ტყვეთი, მაგრამ, როდესაც ლექსებს თვალს ჩაჰკრავ მისას, ელდა გეცემა, ეს სუფენუსი ზრდილი, ქჷუსი კოლოფი, მოგაგევენება უმაღ ვილაც თხისმწველავ სოფელე ტეტია ბიჭად. და ეს ცვლილება, ეს გარდასახვა შეგძრავს! რაა მიზეზი? ნეტა რად ხდება ასე? ვინც სულ ახლახანს ასე ნატიფი ჩანდა, რეგვანდ ქცეულა, ყველა ხეპრეზე ხეპრედ. როცა ლექსებს ნერს, ბედნიერია თვითონ, ისე შეზარის თავის საკუთარ ნაქმნარს! ისე ხალისობს, იმდენად მოსწონს თავი! ე, რა თქმა უნდა, ცოტას ყველანი ვცოხადეთ, ცოტა სუფენუსს ყოველ ჩვენგანში მომხრეკ, მაგრამ, რას იზამ, ასე ყოფილა მუდამ, ზურგით რა დაგვაქვს, ჩვენი ვერ ხედავს თვალთ.

 თანამგ ზაერებო პიზონისა, უქმო კოპორტა! მსუბუქი ფუთით, ცარიელი ჯიბე-ჯუბათის! უსაყვარლესი ვერანისუ, ძმაო დაბუღულს! საქმე როგორ გაქვთ? აღარ გეყოთ, რაც დაითმინეთ მაგ არამზადის გვერდით ყოფნა, მიმშილ-სიცივე! ნეთუ მოგების მოლოდინში მხოლოდ ნაავთ? მეთუ ზომ ასევე, როცა პრეტორუს ჩემსას ნავეცი, მოგების ნაცვლად ვიზარულ ბარე ასმაგად. მახსოვს, მემიუს, როგორ ჩაქვე ძელი დაცემულს, და დაუნდობლად შენი ღახვრით როგორ დამლახვრე! რაო, არც თქვენ ხართ უკეთესად, თქვენც ამოგძელეს იმავე ძელით? მე რაც მომხვდა, არც თქვენ დაგაკლეს? კეთილმოზილი მეგობრები მოგიძებნიათ! თქვენ კი დაგატყდეთ ღმერთებისგან უზღვავე ქირი, რომის სირცხვილო, რომულუსის მოდგმის ვაებავ!

 უსაქმოდ ვტკეპნი ამასწინათ ბაზრის მოედანს, ვარუსი შემეხვდა, ნამიყვანა თავის ტურფასთან. ვნახე და კიდევ მომეწონა პირველ ნახეზე. ვებღაყე, ეს კახაა არც უმწია, არც გაუზრდელი, თბილად მიგიღებს, სასიამოდ გეტურტრულევა. ვიმუსაიფეთ, ბითინიის ამბები მკითხა, რა ხდება, როგორ მოვიარე იქაურობა, თუ ვერ გავმედიდრდი, ცოტა ფული აღბთა ჩამომყვია. არ დამიმაღლავს, მოვახსენე, რაც როგორ იყო, რომ, არა, მაგ მხრეუ სატრამბაოდ არ მქონდა საქმე, მშრალზე ვისხედით დიდიც, მცირეც, მთელი აჰალა. „თვითონ პრეტორი დღედაღამე დამძუნაობდა, სხვა, ქვეყანაზე არაფერი აღარ ახსოვდა“. „მაგრამ ტახტრევის მზიდაეები, — მოთხრო პასუხად, — როგორც ამბობენ, იაფია, მრავლად ჩამომყვით.“

ორიოდ წყვილი, არ იქნება, შენც არ გეყდა". ენამ ნამისწრო, ვუთხარ თავის მოსაწონებდა: „რაც მართალია, მხარე შერგო ყოველად ღატაკი, მაგრამ მთლად ისე უსახსროდაც არ დაერჩენილვარ, ჯან-ღონით სავსე რეა მზიდაეი ჩამოვიყვანე“. არადა, არსად, იქ თუ სადაც, არვინ მყოლია, ჩემი ჭრილა საწოლისთვის მზარი შეეგვა. ის კი, ის ურცხვი: „ახ, კატულუს, ჩემო ძვირფასო, ეგ მზიდაეები სულ ცოტა ხნით, ერთი დღით მაინც, ეგებ დაბითმო, რომ იცოდე, როგორ მწანდა ტახტრევისით ნასვლა სერაპიოსის დღესასწაულზე!“ „ადაცა, რა ვთქვი? — ეუღბნები, — მართლა ნამომცდა, ჩემია-მეთვი? მეგობარმა იყიდა ერთმა... გაიღო ცინამ... მშებეითი ვართ... შენი და ჩემი არ გაგვერჩევა... ის ვემბარობ, როგორც საკუთარს. შენ კი ასეთი უბერი და თავეკრია ნუ ხარ, კაცს ერთი ნაბით არ აცადო, ფრთები გაშალოს!“

 მოკედი, კატულუს! რაღად გინდა თავი ცოცხალი? ქალაქის თავად ზის ნონიუს ჩიჩახიანი, ვატრინუსმა საკონსულოდ ცრუ ფიცი დადო, მოკედი, კატულუს! რაღად გინდა თავი ცოცხალი!

 ისე მაიცინა დღეს ფორუმზე ერთმა უცნობმა, როცა კალვუსი, ტანმორჩილი ჩვენი ძმაკაცი, ვატრინუსს მხრობეებს მქუხარედ თხორობდა, — განცვიფრებულმა ხელაუკრობით შეუგვმინა ღმერთებს: „ეიამე, როგორ ლაპარაკობს ეს პანანუნა!“

 ჩვენს იგნაციუსს თეთრი კბილები შეენის. შეენის და აჩენს! ვთქვით, სასამართლო შეეგვა, თხაცრემლიანი უსმენს ორატორს ხალხს, ეს იკრიჭება. ვთქვით, ერთადერთი ვაჟი დედას მოუკვდა, საფლავს დასტორის მწარედ, ეს იკრიჭება. მოკლედ, რაც უნდა მოხდეს, ეს იკრიჭება, ხარობს კბილების ჩვენი. ჩემო კეთილო, ასეც არ არის მართლა, ნუ გეგონება, მაგთ მოხობლავ ვინმეს, მოეჩვენები დახვეწილი და ზრდილი. რომელი ხარ თუ საბინელი მოდგმით, უბერი ზოროზა, გინდაც ეტრუსკი ჯმუხი, ღავენიელი (შენით გადმოყრა კბილთა), ტრანსპადანელი (აი, ჩემებსაც მიეწედი), კბილებს რომ იხებ, განა მაკისთვის იხებ, მტრულ სიცილზე უფრო მტრული, გმტყვი, რჩევედ გაახლებ, არაფერია ქვეყნად! თუმცა მოიცა, კელტიბერი ხარ მგონი, თქვენში უსეთა, მარდით იზღვენ ღმრთილებს, დღისი უზნობე კბილებს იხებენ მარდით.



ჰოდა, ძვირფასო, შენი კბილების კრიალს ზედ აწერი, რასაც ხრუბავადი დილით!



ლობის მთებში ანთუ ძუ ლომმა გზობა, ანთუ მეფეფარე სკილას ნიაღში იშვი, ასე უწყალო, ასე სასტიკო ხო ხარ, ჩემი ვედრება, როცა მე ასე მიჭირს, არც გეკარება, რკინის ჭკონია ვული!

ბერძენიკის ნანახავი

ცის თალზე ყოველი მნათი, ვინც სრული სახებით იცის, ყველა ვარსკვლავის ეტლი, ერთობა-განერთობის წუთი, რომელნამს მოიცავს ბნელი შუის სწრაფად მობრუნალ დისკოს,

ან დადგენილ დროს ბომლინი როგორ ქრებთან, ისიც, ან როდის ენევეა მალეით ტრეგია ლატმოსურ მღვიმეს როგორ ედგება თრთოლვა სიყვარულისგან ბომბილს, მეც მანვე, კონონმა, მნახა, დამლანდა ვარსკვლავეთა შორის, მე, ბერენიკეს თმათა ოქროცუქრული ზილფი, რამეთუ აღსრულდა ფიცო, დედოფლის შესრულდა სიტყვა, ქალღმერთებისთვის დამთქვა სამადლობელო ძღვენად, როდესაც შეუღლე მისი, ქორნილის მეორე დილას, დაშქრად ნაფიდა ასურს სასტიკ, სისხლისმღვრელ ომში და შმაგად ჩაველილი ღამის, ქალწულითან ნეტარი ბრძოლის, აღსრულდა და ცრემლის ნაპვეა უტბებში სკვლი. არადა, რას გრწობდა ქალი? ზაფრავდა პირველი ღამე? თუ მშობლებისთვის სურდა მოთქმით მოეკლა გული? და თუმცა აფრქვია უხვად ცრემლები ღამეულ საწოლს, ღმერთებს მოუხმობ მონმედ, ხელთქმა არ იყო წრფელი. ეს მაინი ვირწმუნე, როცა წუბილით შეძრული ვნახე, როგორ ტირილდა მწარედ, ქმარს რომ უშვებდა ომში! მისაგან მთენილი ობლად, განათუ ცარიელ საწოლს, ნასკულს მოთქვამდი ქმრისას, ცრემლებს აფრქვევდი ნამდვილს.

ნალკვლამ მოვიცა სრულად, სიმწარე ძელებამდე ჩაგვცა, გული ავიგოს სიმმა, გრწობა და კარგე იქვე. აზრს ვეღარ იერებდი დიდხანს, ო, როგორ შეგცვლია ნირი, მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვი რა უმიზარი იყავ! ვერც მეერ მოვდრიკეს ძალით, არ დამთე რჩეული შენი, ო, ის სიმტკიცე ძველი ნუთუ პირწმინდად გაქრა? რა დარდი ჩაგდეროდა ბნაში, როდესაც გტოვებდა ქმარი, როგორ ისრენდი თვალებს, როგორ იწმინდდი ცრემლებს! რა ღმერთმა შეგცვალა ასე? ო, არავიგ მწარეა თურმე უცებ განყვეტა მისი, რაც სიყვარულმა შექრა! მშვიდობით მოგვლოდა უკან, ზეცირთ შესთხოვდი შევლას, ჩემი აღუთქვი თავი, სისხლიც სამსხვერპლო ხართ. და, მართლაც, დამრუნდა ძღვენი, დამლევე გასრულდა ომი, ხარკი დააღო ძღველთ, თავის ვეპაიტე უყმო. დაბრუნდა, ავიბნა ნაქრვა და აქაც მაეიტომ მოგვხვდი, მსხვერპლად მივეთღვენ ღმერთებს, ჩემით აღსრულდა აღთქმა.

მომკვეცეს, არავინ მეთიხა, ვერ გამობდი, მომკვეცეს ძალით, შენს თავს ვფიცავარ ღამაზს, მაგ თმებს, ოქროსფრად დაყროლს!

საკადრი მიუზლას ზენამ, ადვილად ვინცა თქვას ფიცო, მაგრამ ვინ დაძღვეს რკინას? რკინით ვიმღვი ბასრით. მთა, ქვეყნად ყველაზე მძლავრი, რომელიც პელოოსს აერთობს,

თიას ბრწყინვალე ვაფი ძლივს რომ აივლის აღმართს, გაჭრა და ვაგატრა ისიც, ნავეებს რომ გაეველოთ წყებად, ზევა შეადინა ათონს მდიდრელების ხელით. თმამ როგორ გაუძლოს ნაზმა, კლდესა და პიტალოს ანგრეეს!

იუპიტერო, შეგთხოვ, მოსხუე ხალხობა მოდგმა! მოისრას, პირველმა ვინაც მიაგნო მაგ რკინის მადანს, მინის ძარღვები გაჭრა, მტკიცე ფოლადი ანართო! ის იყო, მომკვეცა კოინამ, დომლენი მტრომდენე მწარედ, როცა მეშინვის ერთამ ჩემკენ მომართა კვლი. ფრთამესხმულ ლაქროსულ რამზე თავად არსინომე შესევა, ქმარი შემოპყვა მცედარს ვითომის მხრისა.

ქვედამწვდა, წამილო ფრენით, ეთერში აიჭრა ისევ, წმინდა დამიღო ბინა, ტკბილი ვენუსის კალთა. მწედ გამოგზავნა ჩემთვის ზეფირთა მბრანებულ ქალღმერთს,

ვინც კანოპოსში, ზღვასთან, ბრძენე დიაცად ცხოვრობს. ვერსულს ცის თალზე დამსვა, ათასფერ ვარსკვლავთა შორის, რომ მეც მებრწყინა მალა, ვით არიადნეს გვირგვინს. ჩვენც ვიყოთ. ვიბრწყინით ცაზე ოქროსფრად დღეარე თმებმა,

შენიროლებმა მსხვერპლად ქალის ფიცსა და აღთქმას. თვალსმა ცრემლებით შეველ ზეცირთ ღმერთების ტარად და ძველ მნათობთა შორის მომიცა ქალმწიბრთა ბინა, ორივე ვარსკვლავდეს ვეკრიამწინეარე ღოწმსა და ქალწულს და ლიკარისს მოდგმის კალისტო მიდგას გვერდით. ნინ ფუძელი ბოთის ვარსკვლავს, რომელიც მიცურავს ზანტად

და ოკეანის სკენელში ზოზინ-ზოზინით ჩადის. და თუმცა ღმერთები ღამით ფეხებით გვივლიან თავზე, დილა ქალბრა ტეთისს ისევ უბრუნებს ჩემს თავს. რამწურის ასული, ვიტყვი და ნუკი შემირისავა თქმისთვის, სიმაროლუს ვიტყვი, შიმი ვერ შემიბორკავა ენას.

ამ ჩემმა მნათებმა მძრაზონ, გამკილონ, გამათათონ თუნდაც, რაც გულში მიდულს მაინც უნდა ამოვთქვა ღიად, სიხარულს მიხვებებს სევედა, აქ ვითელი მწუხარე დღეებს, შორს, მოკვეთილი მისგან, შორს, დარწმენილი მარტო.

როდესაც გოგონა იყო - ცხოვრობდა მოცალოდ, ღაღად, რა სიხარული ზეით არ გვიხმარია ერთად! ქორნილის ჩირაღდნით ვისაც დაუდგა ნანატრი ეამი, იმას მივმართავ თხოვნით - ქმარს ნუ დაუთმობს სხეულს, ნუ გაბევეს ტრფიალის ცეცხლში, არც მეკრდი შეიხნას მასთან,

სანამ საამო ოჩისს არ შემომწირავს საძღველო. იმ ოჩისს, რომელსაც შესთხოვთ ცოლქმრული სარეცლის დაცვას;

თუკი გაბედავს ვინმე - ასეთ სიყვარულს შერყვნის, შორს მისი მოძღვლილი ძღვენი მტვრად გაპყვეს და ნაცრად იქვეს!

კოეხის მერიდიანები

მე იმ უღირსი ცოლის მოძღვნილს მივიჩნევ არად!
და თქვენ კი თანხმობა გქონდეთ! თქვენს სახლში
მევიდობა იყო!
მეუღლეებულნი! თქვენთან იყო ურყევი ტრფობა!
გახსოვდეს, პატრონი ჩემო, ზეცად რომ აღაპყრობ თვალეებს,
დღესასწაულზე როცა ვენუსს საბოძარს უძღვნი,
მეც მიძღვენ, მენს ერთგულ მხეველს, სურნელი სირიულ
ნარდის,

მეც მიმათვალე იმათ, შესანიშნავთ მოდ!
რას ვაქნევ ვარსკვლავებს ცაში?! კვლავ ზოლფად მაქცია
ნეტავ,
თუნდ ორიონი მოხვედეს სადღაც მერწყულის გვერდით!

ლათინურიდან თარგმნა
მანანა ღარიბაშვილი

უცხოური ნოველა

დაიბადა ათენში 1919 წელს, სწავლობდა იურისპრუდენციას ათენის უნივერსიტეტში. 1936 წელს მეტაქსას დიქტატორის დიქტატორთან დატოვა თანამდებობა შრომის სამინისტროში. გერმანიის მიერ საბერძნეთის ოკუპაციის პერიოდში შეუერთდა ნინაბაძეების მოძრაობას, რისთვისაც 1944 წელს მესამე რაიხის მიერ სიკვდილი მიესაჯა და გაქცეული უშველა თავს. სტუდენტობიდან წერდა ლექსებს, 1954 წელს გაბოსცა მოთხრობების პირველი კრებული "გვესაჭიროება იმედი" და თავის ნოველებში II მსოფლიო ომის შემდგომი სამყაროთი იმედგაცრუებულმა მწერალმა პერსონაჟებზე გამოიყენა უსახელო ადამიანები — უმუშევარი თუ მარტოსულინი.

1965 წელს გამოქვეყნდა მისი შედევრად მიჩნეული რომანი "მედღობა", რომელიც ოცდაათამდე ენაზე ითარგმნა და საბერძნეთის ლიტერატურული პრემიით, "თორმეტა პრემიით", აღინიშნა (1966). ანდონის სამარაკის არის აგრეთვე ევროპლისის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატი (1982). ცხოვრების ბოლო პერიოდში მწერალმა მიუძღვნა ახალგაზრდებს, დააფუძნა ახალგაზრდათა პარლამენტი ათენში, იყო UNICEF-ის ელჩი და ზრუნავდა ბავშვთა უფლებების დაცვაზე. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, საბერძნეთისა და კვიპროსის 37 ქალაქის საპატიო მოქალაქეს, 80 წლისას უთქვამს: „უნდა იბრძოლო, რომ დარჩე საკუთარ მედ — რათა არ უღალატო ბავშვობისდროინდელ მხერას“. ანდონის სამარაკის გარდაცვალება პილოსში 2003 წელს, ჩვენ კი დაგვიტოვა მოთხრობების რამდენიმე კრებული და სამი რომანი — წიგნები, რომლებშიც, ხალხთან ურთიერთობის, უბრალო ადამიანთან გამოხმავრების მოსურნე მწერლის თხოვნით, ბერძნული თუ უცხოური გამოცემლობები მუდამ უთითებდნენ მის მისამართს: ანდონის სამარაკის, ანაღნოსტოპულისის 59, 10672 ათენი, საბერძნეთი

ანდონის სამარაკის ერთ ღამეს

პირველმა მბეჭდავმა შეამჩნია თოვა.
— თოვლი! თოვლი! — შესძახა მან.
იმამსხვე ანება თავი სანახევროდ აკრფილი, "უკიდურესად სასწრაფო" დოკუმენტის ბეჭდვას, სარკმელთან მიიღობინა, ფართოდ გამოაღო და თოვლს შეუღებინა ხელი.
დანარჩენებშიც შენეჭტვას სამუშაო და სარკმელთან მივიდნენ. ასე რომ, საქანელთან ახლა სამი ვაკი და ორი ქალიშვილი იდგა, ანუ ბიუროს ყველა თანამშრომელი, გარდა ერთისა, თოვლის მოხელას სკამიდანაც რომ არ შეურხებია კუთხეში მჯდარი.

თავს იქეცდნენ ფიჭქები... განუწყვეტლად და ბევრიგლად ბრძენიდა. პირველი თოვლი იყო ამ ზამთარს.
— საღამომდე გვარიანად დადგეს, — თქვა სქელკისკერა პროტოკოლისტმა.

— ეტებ შუადღემდეც, — დასძინა სხვამ, — ჯერ ათის ნახევარია.

მხოლოდ იმ ერთს არ მიუბაძავს დანარჩენებისთვის. ცოტა ხანს უცქირა თოვას, მერე სიგარეტს მოუკიდა და კვლავ ქაღალდებში ჩარგო თავი.

მარგან მბეჭდავი გოგონა არ მოეშვა. მივიდა და ნინ დაუდგა.

— მოდი, თქვენც ნახეთ, როგორ თოვს! ჩემო კარგო, როგორ ადამიანი ხართ ვიცი, რამიჯაა საქმე, სიმარტოვო გიყვართ!

ხელი ჩასჭიდა და სარკმელთან მიიყვანა. ახლა დანარჩენებთან ერთად იყო.

მოულოდნელად ბიუროს კარი გაიღო და უმცროსი მოსამსახურის მელლოტი თავი გამოჩნდა.

— განიყოფილების გამგე! — დაძინა მან.

ერთბაშად ლსყველა თავ-თავის ადგილს მისცვიდა. ისეთი სახე მიიღეს, თითქოს სამუშაოში იყვნენ ჩაბრუნენი. პროტოკოლისტს თოვლის გუნდა გაეკუთვნინა, სიტყარემი ველარ გადაეგდო და არ იცოდა, რა ექნა გუნდისთვის; ჯობემი ჩაეფო, გუნდა კი ნელ-ნელა დნებოდა.



მ საათზე ბიუროდან გამოვიდა, დათოვლილ ქურჩებში გავიდა. მართლაც გვარიანად დაედო შუადღემდე. ნაშუადღევს თოვას გადაედო.

ქალაქი ფერმეცვლილი იყო.

დილიდან, მას შემდეგ, რაც მბეჭდავმა გოგომ უთხრა, ვიცი, რამიჯაა საქმე, სიმარტოვე გიყვართო, შემფოთობას გრწნობდა. ეს გოგო მისი სულის ყველაზე მგრწნობიარე სიმს შეეხო.

გადანყვეტილი ჰქონდა, სამუშაოს დასრულების შემდეგ ეთხოვა მისთვის სადმე დამსხდარიყვენენ. მასთან საუბარი სურდა.



კობეზე შეიპირა, როცა მბეჭდავი გოგო უკვე სასმახუ-რიდან მიიღოდა.

— პალტოზე ძაფი გაქეთ!

ვერ უთხრა, რომ მასთან საუბარი სურდა. ახლა, შუალაშით, უმიზნოდ მიიპოვებდა მარტო. გას-ცდა პროსპექტებს, სადაც დიდი მოძრაობა იყო და განა-თებულნი, ფერად-ფერადი ნარჩურები კონტრასტს ქმნიდა ირგვლივ დაფენილ თოვლთან.

ხმაურით მოსიარულე ბრბოს შეერია.

მარტოობა იგრძნო. დილითაც, როცა კუთხეში იჯდა და მბეჭდავმა გოგომ სარკმელთან მიიყვანა დანარჩენე-ბის გვერდით, სწორედ იგივე სიმარტოვე იგრძნო.

თვით მისი სუ-ლის ნიაღში დაეუ-და მარტოობას.

ცხადია, იცოდა, რომ სხვებს უცნა-ურ, საკუთარ თავში ჩაკეტილ ადამიან-ად მიაჩნდათ, რომელსაც, მბეჭდავი გოგოს თქმისა არ იყოს, სიმარტოვე უყვარს. მსგავსი სიტყვები მერე სხვებმაც უთხრეს. მაგრამ გოგოს ნათ-ქვამმა შეამფთოთა. ვერ აეხსნა, მისმა სიტყვებმა ასეთი განსაკუთრებული მთაბეჭდილება რა-ტომ მოახდინა. თუმც, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეე-რმნება მთელ დღე

ტანჯავდა და მბეჭდავთან საუბრის სურვილი კლავდა, უსანსნელ ნაშთ თემა შეცვალა და გოგოს უთხრა, პალ-ტოზე ძაფი გაქეთო. პირველად როდ ემართებოდა მსგავსი რამ: ბოლო ნაშთ გადააფიქრებდა ბოლმე სხვის-თვის გულის გადაშლას.

დრო გადიოდა, ის კი ხეტიალს განაგრძობდა.

ოპ, ნეტაც, დალაპარაკებდა მბეჭდავ გოგონას! ნეტაც, პყოფნიდეს გამბედაობა, გაუსაზბროს ნებისმიერ ადამი-ანს, გულისხმადი გაუზიაროს, უთხრას, რასაც განიცდის!

— ვიცო, რაშიცაა საქმე, სიმარტოვე გიყვარო!

მბეჭდავი გოგოც ცდებოდა სხვების დარად, რომლე-ბიც მანამდე იმავეს ფიქრობდნენ მასზე. მის თავს რაც ხდებოდა, მარტოობის სიყვარული ნამვილიად არ იყო. სწორედაც რომ სძულდა სიმარტოვე! უნდოდა ადამიანებ-თან ახლოს ყოფილიყო, მათ გვერდით მდგარიყო, მლე-ვარებისას მათ დაყრდნობოდა, თავისი მოვალეობა მოე-ხადა და დღეებმდე გატანჯულ კაცთა წინაშე. მაგრამ რა-ღაც აბრკოლებდა.

ცხადია, თუკი ყოფოდა გამბედაობა, ვინმესთვის გა-დაეწალა გული, ყველგაფრს დალაგებით ვერც ეტყობა.

შინაგანად აფორიაქებული იყო. რა გასაკვირია, ცხოვრე-ბისა და გარესამყაროს შემყურეს მათი მღელვარება გა-დასდებოდა? განა დღეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩვენი ყოფა, ჩვენი სამყარო მღელვარებით მოცული არ არის?

ცხოვრობაზე დაფიქრდა. შეეცადა სიმარტოვე, ცხოვ-რების ნამდვილი სახე დაენახა. და იბილა! მაგრამ აღმოა-ჩინა, რომ მარტოს ეცხოვრა, შინაგანად მარტოსულს. უნ-დოდა ამ სიმარტოვისაგან თავი დაეღწია, სძულდა მარ-ტოობა. ჩვენს დროში ნება არა გვაქვს განმარტოვებულე-მა ვიცხოვროთ, ფიქრობდა იგი. ადამიანები გველიანი, გვეძებენ! და თუ მათთვის ბედნიერების მინიჭება არ შეე-ვიძლია, ის ხომ მა-ინც ძალგვიძის, გუ-ლი გადაუშალოთ და ფუთხრათ, რომ ეს ცხოვრება მშეი-დად ყოფნის საშუა-ლებას არ გვაძ-ლებს, რომ მათ ახ-ლოს, მათ გვერდით ვდგავართ, მათსა-ვით საერთო მღელ-ვარების მონაწი-ლენი?!

დაახლოებით !! საათი იქნებოდა, როდესაც ერთ ცუ-დად განათებულ, ვინრო და გრძელ, ნესტინა ბარში შე-ვიდა. კედლებზე სასმელების ძველი, გახუნებული რეკ-ლამები იყო გაკრუ-ლი.

კონიაკი შეუკვეთა. სიგარეტს მოუკვია და შეეცადა სხვა თემაზე ფიქრო. ვერ შეძლო! იგივე ფიქრები უტრია-ლებდა გონებაში. ბოლო ხანებში და ამ ღამესაც ამ ფიქრე-ბის ტყვე იყო.

ბარში სინყნარე სუფევდა. თითო-ოროლა კლიენტი იჯდა მხოლოდ. მეორედაც შეუკვეთა კონიაკი.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ბარიდან გამოვი-და.

შინსკენ არ ნასულა. ბეტიალი განაგაბო დათოვლილ ქუჩებში. ნელ-ნელა ქალაქის ცენტრს დამორდა.

ცხოვრებაზე დაფიქრდა. საკუთარ ცხოვრებებს გადა-ხედა, თითქოს ღრმა უფსკრულს მიმოავლოო თვალი ზე-მოდან, და თავზარდამკვეში რამ შენიშნა, სიტყვის თქმაც ვერ შეძლო, ხმა ნართმოდა.

შენიშნა, რომ ჩვენი საბლის სახურავები არასდროს ისე ახლოს არ ყოფილა ერთმანეთთან, როგორც დღეს, თუმც ჩვენი გულები არასდროს ისე შორს არ ყოფილან ერთმანეთისგან, როგორც დღეს. სიმარტოვე, რომელსაც განიცდიდა, პიროვნული განცდა არ გახლდათ. იგრძნო, რომ ეს თანამედროვე ადამიანის ბევრი იყო. არასდროს



მბატყარი აეთანდოლ პოპიაშვილი



დღევანდელით ღრმა და მძიმე არ ყოფილა ადამიანის მარტოობა!

ახლა სამრეწველო რაიონში იყო. აქ კაცი მრავლად ნახავდა ქარხნებს. ირგვლივ სრული მდუმარება სუფევდა. შედარებით ქვევით, კვარტლებში, მუშები ცხოვრობდნენ.

ყველაფერი, რასაც განიცდიდა, — შეკითხვები, შემფოთობა თუ მღელვარება — ერთბაშად გოლინდა გულზე... ზა, ნეტავ შეველოს ვინმეს გაუზიაროს გულისხანები!

რალაც ტალღა ახრჩობდა, მისგან გამოსვლას ითხოვდა. ერთ-ერთი ქარხნის კუთხეს რომ გასცდა, მარცხნივ, კედელთან ახლოს, ჩრდილი შენიშნა. ადგილზე შედგა.

შოშია შეიპყრო. მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით ვიღაც იდგა უძრავად, თავზე ქუდი, და მას უყურებდა. ნეკვარში ღამე იდგა. გარშემო სრული მდუმარება სუფევდა. ორიოდ ნაშთი გადაურა შოშია. მოუახლოვდა უცნობს, ამ ღამით მასავით სრულიად მარტომყოფს, ახლოს, უაღრესად ახლოს, მერმონ მისი ორანი, ტალღა მიფერად მოანება გულზე, მერე რალაც გატყავდა მის სხეულში, შეგება იგრძნო და ამ უცნობს — ვინ იცის, რომელი ბავშვის მიერ იქ დადგმულს — გაუზიარა გულისხანებები, ამ თოვლის პაპის გადაუშალა გულს.

ახალბერძნულიდან თარგმნა
ნიკოლოზ შამუგია

მარიო ბენედუტი

ორი ნოველა

მანინჯაპის ღამე

მას რვა წლის წინათ გადატანილი ოპერაციის შემდეგ მას ჩავარდნილი ჰქონდა, მე კი ბავშვობის დროინდელი დამწერლის იარა მანინჯა ტუქთან. ორივენი მახინჯები ვიყავით, მაგრამ ეს სულაც არ იყო ჩვეულებრივი სიმახინჯე. ჩვენი შემწევარე, კაცი ვერ იტყოდა, კეთილშობილურ-ნე და სათნო გამოქვეყნებულა აქვით, მაგრამ ჩვენ ამით მხოლოდ საკუთარ უბედობებს გამოვხატავდით. ჩვენნაირი გარეგნობის ადამიანები ამგვარი მზერით ცდილობენ დაუპირისპირდნენ სილამაზეს; ჩვენს თვალში მორჩილებას კი არა, უფრო იმედგაცრუებას ამოკითხავდით და ესეც მეტყვის მოგვარიების ერთგვარი საშუალება იყო. ალბათ სწორედ ამან დაგვაკავშირა ერთმანეთთან, თუმცა სიტყვა „კავშირი“ ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა. უნდა დავთქვა, რომ სიძულვილის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ შეუნყარებლები ვართ, მაგრამ საკუთარ გარეგნობასთან დაკავშირებით ეს გრძნობა მაინც გვეუფლებს ხოლმე.

პირველად ერთმანეთი კინოთეატრის საღაროსთან დაეინახეთ; აი, მამინ იყო, რალაც იდუმალი ერთსულოვნებით რომ შევათვალერეთ ურთიერთი, მაგრამ სიმპათია არ გვიგრძენია. ბილეთების რიგში მარტო არავინ ყოფილა. ცოლ-ქმრული ნყელიები, მფეარებულები, მეგობრები ხელხილვ გადამდობილი იდგნენ საღაროსთან, ამიტომაც ჩვენი მარტოობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა და აღარ ვიცოდი, ხელები სად ნაკველო, ერთმანეთის სიმახინჯეს ვუთქვამ, თუმც კი გულგრილად ვაკერდებოდი. მის დამახინჯებულ ვნას ისე მოურიადებდა დაგადგი თვალს, თითქოს ამით ცდილობდნი, მისთვის საკუთარი დასახინჯებელი ლოყა დამეხმებინა. ქალი სულაც არ შემეცარა; ის კი, თვალს არ მაცივლებდა, დაიწინებო მკვირდებოდა და მასში სწორედ ეს თამამი მზერა მომეწონა, რომლითაც იგი სრულიად უშ-

ფოთველად შესცქეროდა ჩემს ქოსა, პრიადო ლოყას. მერე ის იყო, კინოთეატრში შევედი. სხვადასხვა რიგში, თუმცა ახლოს ვისხედით. ის ვერ მხედავდა, მე კი სიბნელის მიუხედავად, დროდადრო თვალს შევავლებდი ხოლმე მის კეფას, თმას, ღამაზად მოცვანილ კურსს, საოცრად ზუსტად რომ დაეკავებინა კუთხენილი ადგილი.

ფილმის გმირი ქალი ერთი საათის განმავლობაში ცდილობდა ჩვენს მოჯადოებას და საკუთარი მომხიბვლელობის დემონსტრირებას ახდენდა. მე კი შემწევს სილამაზის აღქმის უნარი, მის დანახვაზე ახლაც ვერ ვმალოვ აღფრთოვანებას და მშვენიერების თაყვანისცემის ვარ. სიძულვილის გრძნობა ჩემი სახისა, დროდადრო, ღმერთისთვის მაქვს შემონახული. ყველა ჩემნაირ გონჯსა და მახინჯს სიძულვილით ვუყურებ ხოლმე. ვინ იცის, ამ შემთხვევაში ალბათ ცოტადდენი ღმობიერება მმართებდა, მაგრამ მათ რომ ვუყურებ, ასე მაგონია, საკუთარ თავს ვხედავ-მეთუი სარკეში. ხანდახან ვფიქრობ, ნეტავ რა ბედი ეწეოდა მითოლოგიურ ნარცისს, მასაც ჩავარდნილი ყბა, მგაეთი დამწვარი ლოყა, ნაიარევი შოშია ან ნახევრად მოქმული ცხვირი რომ ჰქონოდა-მეთუი.

ერთხანს კინოთეატრთან ველოდებოდი, მერე უკან გავეყვი და გამოვალაპარაკე; გაჩერდა და ისე შემომხედა, თითქოს რალაც ყუყუბოდა. ფინჯან ყაყაზე რომ დავაბატე, მოულოდნელად დამთანხმდა.

კავშირს ხალხის ტვეა იყო, მაგრამ ერთი თავისუფალ ადგილს მოვკარი თვალს და იქით წვედი. მაგონდებს შორის რომ გავდიოდი, ზურგით იქ მყოფთა მზერის ფერხობი, გოაცებულ და ცნობისმოყვარე მზერას. ჩემი შინაგანი საცეცები უკვე ისე მქონდა გამახვილებული, რომ კარგად ვიჭერდი ნორმალური გარეგნობის ადამიანებისთვის ჩვეულ ავადმყოფურ ცნობისმოყვარობას და ვგრძნობდი, როგორ ეკმაყოფილებდნენ ერთგვარი ქვეცნობიერი სადინზის გრძნობას. ამჯერადაც დიდი გარჯა არ დამეჭირებია, რომ ყურით დამეჭირა ეს ნაცნობი ჩურჩული, უადგილო ჩახველება, გოაცების გამომაბეველი შემახილები. სიმახინჯე, რა თქმა უნდა, ერთგვარ ინტერესს იწვევს, ორი მახინჯი ერთად კი ნამდვილ სახანაზობაა, თუმცა არცთუ დიდად ესთეტიკური. მაგრამ რაკი მახინჯები ერთ ბედქვე მყოფი ადამიანები არიან, ისინი ერთად უნდა იყვნენ და, თუ ცხოვრება მათ ცოლ-ცოლვე ამყოფებს, ეს ნიშნავს, რომ ორივე იმსახურებს ამას.



დაცხედით და ნაყინი შეუვსეცით. მან ხელჩანთი-დან სარკე ამოიღო და თმა გაისწორა. მშვენიერი თმა პქონდა. მისი ამგვარი ქცევა ახლა დიდ გამბედაობას მოითხოვდა, და მან საოცრად თამამად და მოზიზილავად მოახერხა ეს.

— რაზე ფიქრობთ? — ვკითხე მე.
მან სასკე ისევ ჩანთიში ჩადო და გაიღიმა. ახლა ღრმულმა მის ლოყაზე სხვაგვარი ფორმა მიიღო.

— ვიფიქრე, ჩვეულებრივი ხალხმრავალი ადგილია-მეთქი. — მომიგო მან.

მერე დიდხანს ელაპარაკობდით. საათ-ნახევარში ორ-ორი ფინჯანი ყავის შეკეთა მომიხდა, რათა ჩვენი ერთად ყოფნის მიზეზი ვამემართლებინა. უეცრად მივხვდი, რომ საუბარი სხვა მიმართულებით წარმოებოდა, ერთობ გულწრფელი გახდა და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევც, ეს გულწრფელობა მაღელვებელი პირფერობაში არ გადაზრდილიყო. მაგრამ უკან დახევას აღარ ვაპირებდი.

— მარტოსული ადამიანი ხარო, არა?

— დიხ. — მომიგო მან ისევ, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია.

— ვფიქრობ, ყოველთვის მოგწონდათ ლამაზი მამაკაცები; და ახლა ალბათ იმ გოგონას მშვენიერ სახეს შენატრით, აი, იქ, ხელმარჯვნივ რომ ზის. მე კი თქვენ ძალიან ქქიანი ქალი მგონიათ, რასაც, მისი სულელური სიცილის შემხედვარე, იმ გოგონაზე კერაფრთი ვერ ვიტყვადი.

— ალბათ ასეა. — მომიგო მან და პირველად ამარიდა თვალი.

— იცით, მეც გამომდებოდა იმაზე ვფიქრობ, ნეტავ ასეთი არ ვიყო-მეთქი. და ახლა, ვგონებ, ვაგვიჩნდა შანსი, სხვანაირები გავხდეთ, და თუ ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ, რაღაცას მაინც მივაღწევთ.

— კი მაგრამ, რას და როგორ?
— ეშმაკმა დალაბეროს, რასაც მოეინდომებთ იმას, და როგორც მოეინდომებთ, ისე, წარმოიდგინეთ, ერთად ვიქნებით და ერთნაირად ვიფიქრებთ, რაც გინდათ ის დაარქვით, მაგრამ სწორედ ახლა გვეძლევა ამის რეალური შანსი.

ქალმა კოპაძე შეკრა, თითქოს სურს ამაო იმედებს თავი დააღწიოს.

— მაგრამ თავდაპირველად პირობა უნდა მომცეთ, რომ არ იღიქრებთ ჩემზე, გიჟიაო.

— გაირდებით. — მითხრა მან.
— მომსმინეთ, ჩვენ ღამის სიბნელები უნდა შთავინ-თქათი მიმიხედოთ, რას ვაპრობ?

— ვერა. — მომიგო მან.
— როგორ არ გესმით. უკუნეთ სიბნელები თუ აღმოვჩნდებით, იქ ზომ ერთმანეთს ვეღარ დავინახავთ! ნეტავ თუ იცით, რა მშვენიერი სხელი გაქვთ? იცით თუ არა?

ჩემს ნათქვამზე გაელიმა და ჩავარდილი ყბა ვარდი-ფრად შევფაკლა.

— აქვე ახლოს, მარტო ვცხოვრობ. — ვუთხარი მე.
მან თავი ასწია და ახლა უკვე ისევ შემომსაკურდა, თითქოს უნდა ჩემზე რაღაც შეიტყოს. მერე უეცრად მითხრა:

— ნაივდით!
ოთახში შუქი ჩავაქრე და ორმაგი ფარდა ჩამოვავარე. სიბნელები მისი სუნთქვა მესმოდა, მაგრამ ეს არ ყოფილა განსაკუთრებული სურვილის ან ვნების მაუნყებელი ხმა. მინდოდა, გახდამო მივხმარებოდი, მაგრამ ამის ნება არ დამართო. დანახეთ ვერაფერს ვხედავდი, თუმცა ვგრძნობდი, მოლოდინით აღსავსე უძრავად რომ იდგა. ხელი ფრთხილად გაეინოდა, რომ მის მკერდს შევხებოდი, და ამ შეხებამ თითქოს მხნეობა შემამატა. სიბნელები ვგრძნობდი მის მუცელს, მკერდს, მთელ მის სხეულს; მისი ხელები კი ჩემს დანახვას ღამობდნენ. მერე ის



მხატვარი აივანოვ ჭელიძე

იცო, ერთი წამით გამოვფხიზლდი, თითქოს რაღაცამ მიზიბგაო, და მივხვდი, რომ წარმოსახვიდან სასწრაფოდ უნდა გამომედგენა ის უაზრო სურათები, თვითონვე რომ გამოვიგონე, ახლა კი ვცდილობდი რეალობად მექცია ისინი. ამ შეგრძნებამ მოიცილა ახლა ჩემი სხეული და ვიცოდი, რომ მის დასაძლევად ახლა მთელი ძალ-ღონე უნდა მომეკრიბა. და იცით, მე ეს შეეძქლი. ხელი ნელ-ნელა მივეუახლოვე მის სახეს, მოვებნე ის საშინელი დასახინჩრებული ადგილი და ფრთხილად დავუწყე აღერსი, თუმცა ახლა ჩემი მოცახვახე ხელებით უფრო მის ცრემლებს ვნმუნდდი, ღამალებში რომ ჩამოსდიოდა ლოყებზე. მერე მისი ხელიც ვგრძმენი და მივხვდი, რომ იმ დასახინჩრებულ, ქოსა, პრიალა ტყავზე მეფერებოდა, ბედინსწერას დადიეთ რომ დაესვა ჩემს სახეზე. არც ერთს ცრემლი არ შეგვმრობია თვალზე, მაგრამ ეს მხოლოდ უმედურების კი არა, ბედნიერების მაუნყებელი ცრემლებიც იყო.

მერე ის იყო, აედექი და ორმაგი ფარდა გადავნიე.




სახელ და სახად თიხისაღ

ბოლო ქიანჭველა ფეხდაფეხ ველარ მოჰყვა თანამოქმეთა ქარავანს, რადგან საიდანაც შაქრის ნატეხი გადმოვრდებოდა, ორად გაიპო და საბრძოლვს გზა ჩაუხერგა. ქიანჭველამ გაყვითლებულ ქალღმრუტ ნაბიჯი შეანებლა და ფეხებით მოსინჯა შაქრის კენიწი, მერე ოდნავ გვერდით გადაინაცვლა, უკანა ფეხებზე შედგა და ნადვლს საათის ისრის მიმართულებით შემოუარა; და, რაკი ახლა შაქართან სულ ახლოს იყო, ფეხები გაჭიმა და ზედ აბობლებმა დააპირა, მაგრამ ამოად. ცოტა ხანში ქიანჭველამ ტაქტიკა შეცვალა და შაქარს გვერდიდან მთელი ძალით ჩაეჭიდა ფეხებით, ნაწმსრევეების გროვაზე აფოფხდა, ზედ თავზე მოეყვია და მორე მხარეს გადავიდა. მისი მეტაბრეტი საკმაოდ შორს ნასულაყუნენ და უკვე ქალღმრუტ ფურცლის გადაღმა, მემობირთან იმყოფებოდნენ. ქიანჭველა იმ ადგილას შექერდა, სადაც ქალღმრუტ ფურცისცვალება დანეკნობოდა, და, ექვსივე ფეხით გულდაგულ გადასიერა ასომთავრული „ეწ“-ის სივრცე; ეს მანძილი რომ გადალახა, ქიანჭველამ ფურცლის ნათელ მხარეში ამოყო თავი. მაგრამ ამ დროს ისევ გადმოვარდა შაქრის ნატეხი და ისევ ორად გაიპო. ქიანჭველამ ორივე ნატეხი შეათვალა და სწრაფად გამოაბოლდა წინ; მერე შედარებით მოსხში ქიანჭველა შეარჩია, ზურგზე მოვიდოდა და გზა განავრძო. ცოტა ხანში ის სიგარეტის ნაწივი გადავლომა, მაგრამ ქიანჭველამ ეს სინძველევ გადალახა და მალე ნაწივის გადაღმა მხარეს აღმოწინდა, სადაც ქალღმრუტ ისევ მუჭი ფერი შეჰპარვოდა. თითქმის რომ გადაიარა, უეცრად ნივამა ნამოჭვროლა, სათოქოს ვიღაცამ საბერველს ჩააჭერა; საბრალო ქიანჭველა მეტროტმანდა, ტვირთიანად ძირს მოადინა ტყაპანი და ამფერად შაქრის კენიწივ საბოლოოდ მეტრად იქცა; კვლავ ფეხზე რომ ნამოჭვრა, ისევ გამაგებელი დაიხყო წინ და უკან ზორიალი, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ესეც მობეზრდა და კვლავ შაქრის კენიწს მიუბრუნდა, სულ ცოტა ხნის წინათ თითქოს რომ შერწყმებოდა მის ტანს. ბევრი ეცადა, მაგრამ რაკი ტვირთი ზურგზე ვერა და ვერ მოიკიდა, იმედგაცრუებულმა ერთი მიმართულებით განიგვრძო გზა. მერე ასო „დონიც“ გადალახა და ისევ ქალღმრუტის ნათელ მხარეზე აღმოწინდა. აქ კიდევ ერთი წინააღმდეგობა შემოხვდა გზად და იძულებული შეიქნა, შექერებულყო. ამფერად ქიანჭველა რბაც საგანს გადააწყდა, მას სიდიდით ბევრად რომ აღემატებოდა, და ამიტომ უკან დაიხია; მერე ოდნავ წინ წაიწინა, ნიადაგი მოსინჯა და ყოყმანი დაიწყო. ქიანჭველამ წამით შეისვენა და კვლავ შეეჭიდა ტვირთს; მისი ზურგზე ნამოკიდება უნდოდა, მაგრამ მცდელობა ორივეჯერ ამაო

გამოვდა, თუმცა ბოლოსდაბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ტვირთიანად გაუდგა გზას. მერე ის იყო, ასომთავრული „ანი“-ც გადაიარა და ტვირთიანად სულა განავრძო, მაგრამ ფურცლის თვიერი ადგილი ველარ გადალახა, რადგან ქალღმრუტ ვიღაცას გადაეადგილებოდა. ქიანჭველა პაემში რამდენჯერმე ამატკრებდა და ახრზე მხოლოდ მაშინ მოიჭრა, როცა იატაკზე ზღართანი მოადინა. ახლა მის სიახლოვეს, ხუთიოდე სანტიმეტრის მოშორებით, ჩალაბულა ვედო და ქიანჭველა ძალზე ფრთხილი ნაბიჯით შეეცადა მას მიახლოებოდა. მიზანს რომ მიადინა და ფეხები წინ გაიშვირა, ნივამა ისე დაეჭვროლა, რომ ჩალაბულა გვერდზე მოისროლა და იატაკის ფიცრებს შორის, ღრიჭოში ჩაეჭვდა. ქიანჭველა გულმოდგინედ აუყვია გზას ზემოთ ამ მიმართულებით სიარული ნამდვილად ხელს აძლევდა, რადგან კუთხემდე მივიდოდა თუ არა, შექვლო ნორული მოძრაობა შეესრულებოდა. ეს მიძიე გზა ნახევარ წუთში გაიარა და ტვირთიან სულ ახლოს აღმოწინდა. ახლა მემობირამდე ისე მივიდოდა, რომ არსად აღარ გადაუხვევდა. მეტობარი ქიანჭველები კარგა ხანია მიფარებოდნენ თვალს და პანია ზერელში გაუწინარებულყუნენ. ქიანჭველას ხის იატაკზე გადაადგილება უფრო უჭირდა, ვიდრე ქალღმრუტ; თანაც ამფერად პატარა წინააღმდეგობაც უნდა გადაეღებოდა; ნურთიანი იატაკის გავლას წუთმეტი მტკიცდსარდებოდა; ჩალაბულა კი, ცოტაც და, ღრიჭოში გაუწინარდებოდა. ქიანჭველამ ორიოდ სანტიმეტრში გაიარა, საშინელი ტხანნი გაისმა და იატაკის ფიცრებზე ხანახანი დაიწყო, ჩალაბულა კი სადაც გვერდზე გადავიარდა და ახლა ღრიჭოს გადაღმა მხარეს ეგდო. ქიანჭველამ შეურთან დივარზე რომ გადაინაცვლა და ღრიჭოს კედელს მიაგება, წამობრძიკა და კინაღამ იმ სიცარიელეში გადაეშვა, მის წინ უფსკრულივით რომ დაცული ხახა, მაგრამ თავი დროზე შეიმავრა და რის ვაი-ვაგაბობით გადავიდა მერე მხარეს. ახლა ჩალაბულა უკვე მის გვერდით ეგდო; ქიანჭველას წინა ფეხები უკაცცაბებდა, მაგრამ ტვირთის წამოკიდება მაინც მოახერხა და ორად მოკაპული გაუდგა გზას; ცოტა ხანში წელში გასწორდა და ჩალაბულა უფრო მოხერხებულად მოვიდო ზურგზე. მემობირამდე ნახევარი მეტრითა პკონდა ვასავლევო; ქიანჭველა კვლავ მოუწყებოდა ნაცნობ გზას. მერე ის იყო, ნაბიჯს აუჭქარა, რადგან აღარ ეწინოდა, რომ ტვირთიანად უფსკრულში გადაიჭებოდა. ფინიშამდე ორიოდ სანტიმეტრითა რჩებოდა, როცა ქიანჭველამ ახალი საფრთხის მოახლოება იგრძნო. მალე, სად იყო და სად არა, ადამიანის ფართო ხაწვენებული თითიც გამოწინდა, რომელმაც ტვირთიკიდებულ ქიანჭველა აუღელვებულად გასრისა.

ესპანურიდან თარგმნა
მაკა გოგოლაჰვილა



ანონსი

ჩვენი ჟურნალის
მომდევნო, მე-4, ნომრიდან
დაიწყება ბეჭევა

ბაჩანა ბრეგვაძის

მოკლე ისტორიული მიმოხილვისა

„რეალიზმი და მისინიკრება“



მეგობარი გუსტავ შტი

ჯეფერსონული ბანკირის ვეება სახლის სასტუმრო ოთახში სხედან ასული აბანკირისა და ორი ფინელი იმიგრანტი. ერთმა მათგანმა ინგლისურის ინიჩ-ბინჩი არ იცის; ქალს, სახელად ლინდას, არც ერთი სიტყვა აღარ ესმის არც ერთ ენაზე (ესპანეთის სამოქალაქო ომის დროის აბკი ვალუცია და სამუდამო დაყრუვდა). ისინი ცდილობენ გააგებინონ ერთიმეორეს რაზე შემეგობით შესაძისა, რომელსაც ჯერ ნერა-კითხვა არ უსწავლია.

და შეხმატობილებულად ბაასობენ ისინი იმედზე, ნათელ მომავალზე, სანუკვარ ოცნებაზე — სამარადისოდ გაათავისუფლონ ადამიანი მისი ცხოვრების ტრაგედიისგან, სამარადისოდ გადაარჩინონ სწეულებებს, შიმშილსა და უსამართლობას, შეუქმნან არსებობის ადამიანური პირობები. მეზობელ ოთახში კი იყნებნს ბანკირი ფლემ სნოუპსი, ბატონ-პატრონი მთელი ამ სახლისა, მთელი ამ ფუფუნებისა, სადაც ისინი — მისი ასული და ორი ფინელი მუშა — მისცემიან ოცნებას, რომელმაც მთელი მსოფლიოს სწოუპსებს უნდა მოუღოს პოლიციანი არიანი ისინი?

ვინ არიან და ულიანდ ფოლკენერის უკანასკნელი რომანის („The Mansion“) პერსონაჟები.

ლინდა, ვითომდაასული ფლემ სნოუპსისა, ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახლავთ. ქმარი, მოქანდაკე და კომუნისტი, ესპანეთში დაეღუპა და ახლა დაქვრეუბულ-დაყრუვებული ბინადრობს თავის ვითომდამამასთან, რომელიც ჭირის დღესავეთ სძულს.

მის სულისკვეთებას საუცხოოდ გამოხატავს მისივე სიტყვები: რომელი ლექსი ან თუნდაც პოემა შედრება იმსა, რომ ადამიანი თავს სწირავს, რათა უარი უთხრას ისეთებს, როგორიც არიან პიტლერი და მუსოლინი?!

რაც შეეება ორ ფინელს, ფოლკენერის მიერ შეთხზულ ქალაქში (ჯეფერსონი რომ უწინდა ავტორმა და უნდა ნაეიკითხობა: ოქსფორდი) არავინ უწყობდა, როგორ და საიდან გაჩნდნის ისინი იქ. ერთი იყო მენაღე, მეორე — ზეინკალი.

ეს ფინელიდ დარმმუნებულნი იყვნენ, რომ ჯეფერსონში არსებობს პროლეტარიატი და, როგორც კი ინგლისურს ვისწავლით, მოვიძიებთ ამ პროლეტარებს და კომუნისმის საქმისათვის ერთად ვიბრძობლებით.

ტანმარჩილა მენაღემ ვერაფრით ვერ ისწავლა ინგლისური და ეკონა, სწორედ ამიტომ ვერ გააგებნა ჯეფერსონულ პროლეტარებს, რომ ისინი წარმოადგენდნენ პროლეტარიატს.

ტანმორჩილი ზეინკალი უფრო გამჭრიახი გამოდგა. მიხვდა, რომ თუკი უნდა გახბდ ჯეფერსონის ერთ-ერთი პროლეტარი, ჯერ პროლეტარიატი უნდა შექმნა.

ხოლო კომუნისტურ რჯულზე მისაცევეად მხოლოდ ზანგებს თუ გაუფენდი პროპაგანდას, რადგანაც ჯეფერსონის ყოველი მცხოვრები, დაწყებული მოხალული სიმინდის

გამყიდველი და დამთავრებული გვებრთელა ავტობარაფისა თუ უნივერსიტეტის მფლობელით, ყველანი იყვნენ კომუნისტთა მონინაამდეგნი. და უპირისპირდებოდნენ ყველას და თუთუულს, ვინც ექვემდებარებოდნენ ჯეფერსონელთა უფლებას — ცეცადით, ემოციით, მოვებებათ, მოყვანათ, მოიძიან რამე, რაც შეიძლება იაფად, ნებისმიერი თაღლითობით, მამაძაღლობით, დაყურებით, მუქართითა თუ ძალადობით, და მერე გაყვიდათ ეს ყველაფერი რაც შეიძლება ძვირად, ესარგებლათ რა მყიდველთა გაჭირვებით, უცილობითა თუ სიმორცხვით.

ასე რომ, ფინელები ჯეფერსონის საზოგადოების სახლერებს გარეთ იმყოფებოდნენ, განა იმტომ, რომ ანაორებული კომუნისტები იყვნენ, ეს არავის არ ანუხებდა, მაგრამ ანუხებდათ ის, რომ ისინი ზანგებს ემგობრებოდნენ, ეკომიგებოდნენ, მათი პოლიტიკური თანამოაზრნი იყვნენ. და ადგილობრივი პოლიცია აღმაცერადა უყურებდა ორივეს.

სხედა ბანკირის სახლის სასტუმრო ოთახში ორი „მუნჯი“ ფინელი და ესპანეთის შემდეგ სამუდამოდ დაყრუვებული კომუნისტი ლინდა (გამჭირვებულ სიმბოლო!) და ოცნებობენ კაცობრიობის ნათელ მომავალზე.

მართლაც რომ გროტესკული სურათია, ოღონდ ფოლკენერი გულთბილად, უაღრესი შეწყნარებითა და სიმპათიით გვიხატავს ამ პერსონაჟებს (ლინდას ხომ პირდაპირ ეთავანება!).

იტყვიან, მუთავსებელის მუთავსებას ღამობო? გულთბილი სარკასში ვისა კენიანა?!

მაგრამ დიდებული მწერლის კალამს ყველაფერი ხელეწიფება!

როგორც ირკვევა, ორ ფინელ იმიგრანტს პროტოტიპიც ჰყოლიათ. ჯონ ფოლკენერი თავის ნიგნში „ჩემი ძმა ბილი“ უსიამოდ აღნიშნავს, რომ ერთხელ ულიანდ ფოლკენერმა (მეორე მსოფლიო ომის წლებში) 50 დოლარი აჩუქა ვინმე გუსტავ უტს, ნორვეგიელ მღებარს (ჩემში „პალიარს“ რომ ეძახიან), რომელიც იყო ერთადერთი ოფიციალურად დარეგისტრირებული კომუნისტი მოსისიბის შტატში; აჩუქდა არა პოლიტიკური სიმპათიების გამო, არამედ — როგორც „ხარკი პატივისცემისა იმ ადამიანისადმი, რომელიც უპირისპირებდა ჩემნი შტატის ორ მილიონ მკვიდრს“.

ღმერთმა უწყის, ჰგავდნენ თუ არა ფოლკენერის მიერ შეთხზული ფინელი მენაღე და ზეინკალი იმ რეალურად არსებულ ნორვეგიელ მღებარს, მაგრამ გუსტავ უტმა ალბათ გარკვეული წელილი შეიტანა ამ პერსონაჟთა გაჩენაში. და ორმოცდაათი დოლარი, რა თქმა უნდა, აჯალბ იქნებოდა მისთვის! სხვათა შორის, მამინდელი დოლარი დღევანდელი არ გვეგონოთ. დღევანდელზე ათჯერ, თუ მეტჯერ არა, ლინიერი იყო...



ულიამ ფოლკენერი



დავცა მისი ალაში

ქართველი ეპითაღლ-მწერლის მიხედვით, გარნი-სის ომის ბედი გადაწყვიტა ივანე მხარგრძელის ღალატმა.

შიდა საუკუნის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი გამოეყო-მაგება მოლაღალტედ შერაცხულს: არა მოსაფიქრებელია, რომ ამირსპასალარს, რომლის სახელსაც საპილოოდ და-მარცხების მთელი სირცხვილი და პასუხისმგებლობა უნდა დასწოლოდა, ასეთი უცნაური და უფუფური შურისძიება ეკისრა თავის წინამძღოლთა სარდლისადმი. ივანე ათბავი ხომ ბავშვი არ იყო, რომ არა სცოდნოდა, წინამძღოლთა მიუშველებლობით ნაგებული ომი ვის უფრო გაუფუფებდა სახელს, მას მთავარსარდალს თუ მის ხელქვეითს სარ-დალს შალვა ახალციხელს, ან რომ ნათლად გათვალისწი-ნებული არა ჰქონოდა, რამდენად საშში იყო საქართვე-ლისათვის ხვარაზმელთაგან გარნითან დამარცხებენ?.

დიდი ქართველი ისტორიკოსი შესაძლებლად თვლიდა ივანე მხარგრძელის უნებლიე შეცდომას და კატეგორიუ-ლად უარყოფდა შურიტ გამონეველ უმოქმედობას ანუ ღალატს.

შემდგომში ნიკო ბერძენიშვილმა სცადა ივანე მხარ-გრძელის რეაბილიტაცია: „სასწრაფოდ მყურავით ქართვე-ლიტ შემდეგ ჯარს ელოდნენ, ამიტომ დროის მოგება სურდათ, მაგარი მოზიციები დაეჭირათ და ომს არ იწყებ-დნენ. ჯალალედინმა მონინაღმდეგეს განზახვა შეუტ-ყო და თვითონ შემოუტია. ქართველები დამარცხდნენ“.

რეგვს კივანე ნერდა: „ბრძოლის შედეგზე უთუოდ გავლდა იქონია ივანე ათბავის მერყეობამ და ორქო-ფულმა მოქმედებამ, რაც მისი ხანდაზმულობით შეიძლე-ბა აიხანას“.

წინდება ამგვარი კითხვა: რატომ იჩნეს უჩვეულო აქტი-ურობას შალვა ახალციხელი, როდესაც ჯარს გამოცდილი მთავარსარდალი ჰყავს? ვინ იცის, ვგებ ივანე მხარგრძე-ლი დიპლომატიური გზით აპირებს საქმის მოგარებას? შალვა ახალციხელს კი, ალბათ, ომი სწეუროდა, ახალ-ახა-ლი გამარჯვებანი და სახელისა მოხვეჭა...

ამ ბოლობანს გოჩა ჯავარიძემ ახალ ინფორმაციას მი-აკვლია გარნისის ომის შესახებ XIII საუკუნის არაბი ის-ტორიკოსის ალ-ბაღდადის თხზულებაში.

აი, რას ამბობს იგი: „მოვიდნენ ხვარაზმელინი და გამო-ვიდა მათ წინააღმდეგ ქართველთა ღამქარი. ბრძანა ივა-ნემ და განლაგდა ღამქარი ცენტრად, მარჯვენა და მარ-

ცხენა ფლანგებად. მარამ თქვა შალვამ: ხვარაზმელინი აზდები თაქმუნების ღირ-სნი არ არიან და მავათ მეც ვეყოფიო. იგი წინდაუხედავად ჩაება ბრძოლაში, რადგანაც თავი ღვინით ჰქონდა გაბრუ-ბებული. შვიდი ათასი მეომართურ შეჭრა ხვარაზმელთა შუაგულში, მარამ მტერი გარს შემოერტყა და დაეცა მი-სი ალაში. და მაშინ თქვა ივანემ: შალვა დამარცხდა და ჩვენც უნდა უკუვიქცეთო. იგი გაემართა უღელტეხილის-კენ და უკან მიჰყვებოდნენ ბრძოლის ველიდან გაქცეულ-ნი. ისინი იჩებებოდნენ ხეობაში და მათი უმრავლესობა დაილუა“.

დიდად მიზიდვლი სურათი როდი გახლავთ, მარამ შური და ღალატი მინიშნებულები კი არ არის. თუკი ვენ-დობით არაბ ისტორიკოსის უნიკალურ ინფორმაციას, უნდა დავასკვნათ, რომ ქართველთა შორის, როგორც ჩანს, ჩვეულმა უდისციპლინობამ იჩინა თავი. ბრძოლის წარმართვის გეგმა, უსათუოდ რომ ექნებოდა მთავარ-სარდალს, ერთი ხელის დაკრით ქარს გაატანა შალვა ახალციხელმა.

განა მთავარსარდალი უსიტყვოდ შეეგუებოდა ხელ-ქვეითი სარდალის თვითნებობას და ალტაცებით დაულო-ცავდა გზას? ვინ იცის, რა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გა-იმართებოდა ივანე მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის... განა ჩრდილი არ გადაეკვროდა მთავარსარდალის დამსახურებულ პრესტიჟს? განა არ შეიბაღებოდა მისი სიტყვა და ბრძანება?

წინამძღობლთა სარდალი, სახელგანთქმული რაინდი, არაფრად ავდებს საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მთავარსარდალის გეგმას და ერთადერთ ბატონსა ემორ-ჩილება, ძველი რომაელები ბაზუსს რომ ეძახებდნენ.

ასე უნდა დავასკვნათ, თუკი არაბ ისტორიკოსს ვენ-დობით.

არად, მას სპარსელი ისტორიკოსიც (ჯუჯეინი) ერ-თგვარად ეკვრს უკრავს: „ამ დროს, როცა განთიადის შუ-ქი ღამის წყვილია სდევნიდა, ჯალალედინმა ქართველ-თა ბანას მიღწია გარნისის ხეობაში, სადაც ისინი ღვი-ნი მთერალები და გაღეშილები იყვნენ“.

გარნისის ომში ქართველები დამარცხებას მალევე მოჰყვა ხვარაზმელთაგან თბილისის აღება და შემარწუ-ნებელი აოხრება, მერე კი — მათი ხუთწლიანი თარეში და რბევა საქართველოში.

ქრონიკა

სამხრეთ კავკასიის პრობლემა გადაჭრას მიეძღვნა ორი დიდი კონფერენცია, რომლებიც გაიმართა ბუღლის დედაქალაქ ბრუსელში 16 იანვრიდან 23 იანვრამდე. კონფერენციაზე მონა-წილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების თვალსაჩინო წარმე-მადგენლები ევროპიდან და ამერიკიდან, აგრეთვე სამხრეთ კავ-კასიელები.

საქართველოდან კონფერენციას სტუმრობდნენ: მწერალი გურამ ოდიშარია, მეცნიერები ნოდარ საჩრავაძე და ვია ანჯა-ბაძე; პოლიტოლოგები: შაატა ზაქარეიშვილი, ილიანე მაინდრა-ვა, ჯანა ჯავახიშვილი, ალა გამახარია და ვახტანგ ყოლბაია.

იმსჯელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, გადამყდა დაიწეროს ნიგე მიძღვნილი სამხრეთ კავკასიის პრობლემა-

ბისადმი. ამ ერთობლივ კრებულში გათვალისწინოვებდა თუ რა გავლდა უსაბუხო დიპლომატიის მონადინებით. აღინიშნა აგრეთვე საბაბო და სამოქალაქო დიპლომატიის როლი კონ-ფლიქტების გადასაჭრელად.

კონფერენციის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ DVD-ს მემუარების გასწავლობდნენ გურამ ოდიშარია მეცნიე საკ-მადედ განმარტებულ პიესას „ზღვა, რომელიც შორია“. მწერლის ეს ნაწარმოები, როგორც მთელი მისი შემოქმედება, შავიო და-დასტურება იმისა, თუ რაოდ დიდია როლი ხელყოვნებას და უკუღმურება კონფლიქტურ მარეებში ეკთონმეზობლორ ურ-თიერთობის აღსადგენად, ნანატრი სამშვიდის დასასადაგურებ-ლად, სახელმწიფოებრიობის დასამკვიდრებლად.

ნამდვილი ისტორიის ფრასგენეცები



როგორ ინახავს ისტორია იმ ადამიანთა სახელებს, ისტორიას ვინც ქმნიდნენ?

ეს შეკითხვა აინტერესებს ბევრს, **რუსუდან ნიშნიანიძემ** კი გადაწყვიტა, თვითონაც ყოფილიყო მონაწილე ისტორიის შემონახვისა. ამიტომაც რამდენიმე წლის წინათ საგანგებოდ მოინახულა და ერთდაც ესაუბრა იმ პიროვნებებს, რომელნიც სხვადასხვაგვარად, ოღონდ მთავარია, რომ სახიერად და კოლორიტულად გამოხატავდნენ ეპოქის ნიშან-თვისებებს. ავტორის გახმაურებული ორტომეულის სახელწოდებას რომ დავესესხოთ, ამჯერადაც მკითხველი ორ საქართველოს გახედავს — სამანს აქეთ და სამანს იქით. და გახედავს ამ პიროვნებათა შემწეობით:

გიორგი ნატროშვილი,
ოთარ ჩხეიძე,
კობა გურული,
მაია ბერიშვილი,

ალექსანდრე ფუტკარაძე.

სანდო მეგზურებისა და ეპოქის მონშეების, უამრავი ისეთი რამ რომ შემოქმევიით და მეხსიერებაშიც აღუბუქდავთ, რაც სხვა საისტორიო თუ დოკუმენტური წყაროებიდან არ შემოგვრჩენია ან ასე მკაფიოდ და მიუყვარძებლად არსად მოიპოვება.




როგორც ავტორი აღნიშნავს მცირე წინათქაში:

— მიზანმიმართული თანმიმდევრობით დალაგებული თემები მოიცავს როგორც განვილილ — XX საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებას, მხატვრობას, ქართულ ემიგრაციას, ისე კონკრეტული ადამიანების ბიოგრაფიის ასპექტებს. ისინი არაერთ უცნობ ფაქტს იგონებენ; ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც ხელისუფლების იდეოლოგიის თუ კონიუნქტურის გამო გვერდზე რჩებოდა. უბრალოდ, მათ არ „იხსენებდნენ“. ვგულისხმობ ლიტერატურულ ტექსტებს, ნახატებს, ნაშუქვებებს, რომლებიც კარგად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის, მაგრამ მათი შექმნის პერიპეტეიები უცნობი.

მით უფრო დასაფასებელია **რუსუდან ნიშნიანიძის** მონაწილეობა და პროფესიონალიზმი, მათთან პირადი შეხვედრები და საუბრები გადაეცემა ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროდ, თანაც ცოცხლად და ექსპერსულად საკითხავ თხზულებებად, დიალოგის სტრუქტურაზე გაშლილებად, მათმა ერთობლიობამ კი ჩვენს სამწერლო სინამდვილეში დაბადა ეს თვალსაჩინო ნიგნი „**შეხვედრები**“. ნიგნი დიზაინერული თვალსაზრისითაც ორიგინალურია და ეფექტური, მოსალოდნელია, რომ გადაიღონ სხვადასხვა გამომცემლებმა.

რედაქტორი **გიორგი ლობანიძე**, გამომცემლობა „**უნივერსალი**“.

გამოიცა შპს „**კომპიუტერული სამყაროს**“ და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიხედვით **ჯაფარიძის** თანადგომით.



639/6



ღვინის აჯანრობა

ტატინა თვითონა-პაპისაშვილი